



© პრემიერ-მინისტრი

სამეგრელო - თავდადების ნიმუში

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა დადიანების სასახლეში სტუმრობისას სამეგრელოს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მივესალმები მართლაც გამოჩენილად ნიჭიერ ქართველებს. მინდა, დავიწყო იმით, რომ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურობამ. ძნელია იდგე აქ, დადიანების ისტორიული მუზეუმის ტერიტორიაზე უემოციოდ და არ აღფრთოვანდე იმ კულტურული მემკვიდრეობით, რომელიც ჩვენი ეროვნული საგანძურის ნამდვილი მარგალიტია“, – განაცხადა მან.

პრემიერმა მუზეუმის დირექტორს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ ქალაქონმა მასში დაცული ისტორიული მემკვიდრეობა მომავალ თაობებს შემოუნახა.

„თუმცა, სამეგრელოში არავის გაუკვირდება ასეთი თავდადება, სამეგრელო განთქმულია თავისი ღირსეული შვილებით, სამშობლოსთვის თავგანწირული გმირებით. სამშობლოსთვის თავგანწირვისა და ღირსების მაგალითი იყო ცოტნე დადიანის გმირობა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი სელაიას ცხოვრება და მოღვაწეობა. სამეგრელოს წიაღიდან გამოსული ყველა

გამოჩენილი მოღვაწე ისევ და ისევ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო იდეით სულდგმულობდა. საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას შესწირეს სიცოცხლე შეიღული შარტავამ, მერაბ კოსტავამ და დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. ყოველთვის, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ან დაწინაურებული ქვეყნის აღდგენისა და გამთლიანების იდეა იბადებოდა, სამეგრელო თავის სიტყვას ამბობდა ყოველთვის, ასეა ახლაც და მე მჯერა, რომ ასე იქნება ყოველთვის. საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ტკივილი, ყველაზე მეტი პრობლემა სამეგრელოს დაატყდა თავს. აქ გაიარა ყველა უსამართლობა, ასეა ახლაც და მემკვიდრეობაში მოსახლეობა ზარალდებოდა და ამის მიუხედავად, სწორედ სამეგრელო, მეგრელები გახდნენ მთელი დანარჩენი საქართველოსთვის სიმტკიცის მაგალითი. მადლობა მინდა, გადაგისადოთ ამ გამძლეობისა და სიმტკიცისთვის“, – განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.

დადიანების სასახლეში სტუმრობისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ადგილობრივთა შეკითხვებსაც უპასუხა.

ირაკლი ოქრუაშვილს დალის სეოზის დაკარგვაში აღანაუაულებენ

3




დღის ამფრაზურიდან

– როგორ შეიძლება ნიკლაურის ჯირყვნა ბოროტებად შეფასდეს, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში მსიარულება გამოიწვია. კანონმდებლებო, შეიტანეთ შესწორება.

ნატომ რუსეთთან ყველანაირი სამხედრო თანამშრომლობა შეწყვიტა

8






გეორგიის ისტორიის გაკვეთილები, საქართველოს ინტელექტუალური საუფა



6

ვამბობთ დემიკოს, ვეულისხმობთ დიუსელდორფს...

10



ალიან-ჩალიანი

პრაზიდიანი პოლონეთს ეწვია

საპარტამენტო პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით პოლონეთს ეწვია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში ოფიციალური დახვედრის ცერემონია გაიმართა, რის შემდეგაც ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს როგორც პირისპირ, ისე გაფართოებული შემადგენლობით შეხვედებიან.

საქართველოს პრეზიდენტი, თანმსვლემ დელეგაციასთან ერთად, პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშალს ევა კოპაჩის შეხვედრა. ასევე იგეგმება საქართველოს პირველი პირისა და სენატის მარშალ ბოგდან ბორუსევიჩის შეხვედრა. გიორგი მარგველაშვილი შეხვედრას პოლონეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთანაც გამართავს. მოგვიანებით, ბრონისლავ კომაროვსკი და ანა კომაროვსკა გიორგი მარგველაშვილის და მკა ჩიჩუას საპატივსაცემოდ სადილს გამართავენ. ამას გარდა, დაგეგმილია შეხვედრა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკთან. 3 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტი კრაკოვში გაემგზავრება, სადაც ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს დაესწრება.

პრეზიდენტთან ერთად, ქართული დელეგაციის შემადგენლობაში არიან ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერწეიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები — ზურაბ აბაშიძე და ზვიად კვაჭანტირაძე, პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ივანე მაჭავარიანი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე.

გიორგი მარგველაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში ორ დღეს გასტანს და საქართველოში იგი 3 აპრილს დაბრუნდება.

პრაიმერი სენატის სამხედრო ბაზას ეწვია

საპარტამენტო პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სენატის სამხედრო ბაზაზე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ყაზარმა, სპორტული დარბაზი და აუზი დაათვალიერა. ღარიბაშვილმა ასევე პატივი მიიღო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში დაღუპულ სამხედროთა ხსოვნას.

ირაკლი ღარიბაშვილი სამხედრო ბაზაზე სტუმრობისას ჯარისკაცებსაც გაესაუბრა და მათი პირობების გაუმჯობესებაზე გაამხვილა ყურადღება. ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის განმტკიცების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების ღირსების დაცვას და მათ მხარდაჭერას მიიჩნევს.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, მთავრობა აქტიურად მუშაობს სამხედრო მოსამსახურეების და სამოქალაქო პერსონალის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების გაუმჯობესებაზე.

2013 წლიდან სამხედრო მოსამსახურეთა პირობების გასაუმჯობესებლად თავდაცვის სამინისტრომ 1,816,124 ლარი გამოყო, რაც ყაზარმებისა და გათბობის სისტემების რეაბილიტაციას მოწოდებს, ასევე განხორციელდა სასწრაფო წყლის რეზერვუარების მშენებლობა. სამხედრო მოსამსახურეებს ხელფასი 25%-ით გაეზარდა, საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისთვის 100 000-ლარიანი ერთჯერადი დახმარება დაწესდა. 2014 წლის 1 იანვრიდან კი, საქართველოსთვის ბრძოლაში და საერთაშორისო მისიებში დაღუპული ყველა გმირის ოჯახი იღებს 500 ლარის ოდენობის ყოველთვიურ დახმარებას, რომელიც 2015 წლიდან 1000 ლარი გახდება.

* * *

პრემიერ-მინისტრს მასპინძლობა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გაუწია.

— დღეს სენატში მეორე ქვეით ბრიგადას ეწვია პრემიერ-მინისტრი. შეამოწმა საბრძოლო მზადყოფნა, გაეცნო ინფრასტრუქტურას, იმ ცვლილებებს, რაც ერთი წლის განმავლობაში აქ განხორციელდა, მოისმინა ბრიგადის განვითარების გეგმა, ასევე მისი მონაწილეობა საერთაშორისო ოპერაციებში. შეფასებები ძალიან მაღალია. მთავარია, რომ პრემიერი ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშეწყობას დაჰმართავს ბრიგადას. დღევანდელი დღით ჩვენი ჯარისკაცები, მთელი პირადი შემადგენლობა ბედნიერი არიან, რადგან ასეთი მხარდაჭერა არსებობს მთავრობის თავმჯდომარისგან, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

„პაიპარის სამკურნალო“ წვირი

ქვეყნის პარლამენტის ახალი

პოლიტიკის მოთხოვნით გამოდინა

საპარტამენტო, უკრაინას, მოლდოვას, ბელარუსსა და აზერბაიჯანს უნდა მიეცეთ როგორც დასავლელ, ისე აღმოსავლელ პარტნიორებთან მჭიდროდ თანამშრომლობის შესაძლებლობა. ამის შესახებ „გაიმარის სამკურნალო“ წვერი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული.

ამასთან, უკრაინასთან დაკავშირებული კრიზისის გამო, „გაიმარის სამკურნალო“ წვერი ქვეყნები — გერმანია, საფრანგეთი და პოლონეთი აღმოსავლეთევროპელი მეზობლებისადმი ევროკავშირის ახალი პოლიტიკის მოთხოვნით გამოდიან.

— სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების აზრით, აღმოსავლეთევროპული ქვეყნები ალარ უნდა დადგენ მკაცრი არჩევანის წინაშე — აირჩიონ ევროკავშირი თუ რუსეთი, — ნათქვამია განცხადებაში.

„გაიმარის სამკურნალო“ წვერებმა აღიარეს შეცდომა, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს მოსკოვის რეაქცია უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმებასთან მიმართებაში.

— პოლონეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს ევროკავშირს, აამოქმედოს ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი უკრაინის კრიზისის მოსაგვარებლად, — აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერპრესი

პიტარა

ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ალიანსის საქართველოსთან ურთიერთობას განიხილეს. ამ შეხვედრაზე მთავარი თემა ნატოს უკრაინისადმი მხარდაჭერა და ალიანსის რუსეთთან ურთიერთობებში ინფორმაციის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ბრიუსელში, საქართველო-ნატოს კომისიის სხდომაში მონაწილეობას მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე. როგორც მინისტრმა აღნიშნა, საუბარი იქნება საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე და იმ პერსპექტივებზე, რომელიც საქართველოს აქვს ნატოს მომავალი სამიტისთვის.

პარალელურად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ამბობს, რომ ნატოს კარი ღია რჩება ნებისმიერი ევროპული ქვეყნისთვის, რომელიც ნევრობის ვალდებულებებსა და მოვალეობებს იკისრებს, შეძლებს წვლილის შეტანას ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში.

„აშშ-ის ამოცანაა მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის მიმართულებით მუშაობა, ასევე, პლანეტის ყველაზე ძლიერი ალიანსის ძალისხმევით გამოყენება მსოფლიოს გარშემო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნატო დღეს ძლიერია იმ საერთო ფასეულობებით, რომელსაც ყველა მისი წევრი იზიარებს“, — განაცხადა ჯონ ქერი.

გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ფხალაძე განმარტავს, რომ ნებისმიერი მსგავსი შეხვედრა განიხილება როგორც ერთი მოსამზადებელი ნაბიჯი უელსის სამიტისათვის. რადგან, მისი თქმით, მართლაც რომ, უელსის სამიტისთვის საქართველო ელოდება მნიშვნელოვან გადამწყვეტილებას, რომელმაც ადგილზე უნდა შეაფასოს ის ძალისხმევა, რეფორმები და წინსვლა, რომელიც განახორციელა საქართველომ ალიანსთან დაახლოებისათვის.

„ეს უნდა იყოს ის გზავნილი, რომელიც მოგვცემს საშუალებას, უფრო მეტად დაეუახლოვდეთ ალიანსს და ჩვენი ურთიერთობა გაძვირდეს რეალურად თანამშრომლობის ახალ საფეხურზე. ძნელია საუბარი იმაზე, რა დაერქვება ამას, განვითარების სამოქმედო გეგმა, თუ ამას ეწოდება სხვა სახელი.

მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც ახალი ინსტრუმენტი საქართველოს ნამდვილად სჭირდება და ჩვენი ინფორმაციით, ამ თემაზე მსჯელობა მიმდინარეობს ალიანსში. მხოლოდ და მხოლოდ განმეორება იმ ჩანაწერის, რომელიც 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე გაკეთ-

და, მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნება“, — აცხადებს ფხალაძე.

მისი თქმით, ბრიუსელში, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, სადაც ალიანსის საქართველოსთან ურთიერთობას განიხილავენ, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, მისი თქმით, იქ განიხილება უსაფრთხოების ფართო სპექტრი, მათ შორის ის, თუ რა ბედი შეიძლება ეწიოს ასპირანტ სახელმწიფოებს.

„აქ არის საქართველო და ის სამი ქვეყანა, რომელსაც მიღებული აქვს მათი. ასე რომ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეგრძნებაა, რომელიც მათსი მალევე გამოვიყენოთ. მართლა იმედი მაქვს, რომ ჩვენი დიპლომატია ამ შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოვიყენებს. მით-

„საქართველოსთვის პროგრესი ანგარიშის მომზადება იმისადაა გაბრუნებული“



უმეტეს იმ ფონზე, რაც ხდება დღეს უკრაინაში.

არის რეალური საფრთხეები, არა მხოლოდ უკრაინის მიმართ, არამედ სხვა ქვეყნების მიმართ, რომლებმაც გადამწყვეტის თავიანთი გზა დაუფავშირონ ევროპულ და ევროატლანტიკურ მომავალს, განხორციელდეს იგივე, რაც ხდება უკრაინაში. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რა გადამწყვეტილებაზე ჩამოყალიბდება ალიანსის წევრი ქვეყნები საქართველოსთან მიმართებაში“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას თენგიზ ფხალაძე.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრი ამბობს, რომ ნატო არის ერთსულოვანი იმპია, რომ საქართველოსთვის არ იქნება საკმარისი ბუქარესტის სამიტის გადამწყვეტილების გამოვრება.

ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, არის გარკვეული მოლოდინები ნატოს სამიტიდან, რომ საქართველოს მიერ განხორციელებული კონტრიბუცია და დემოკრატიის კონსოლიდირების მიზნით გადადგმული ნაბიჯები შესაბამისად შეფასდება ნატოს

სამიტზე ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული გადამწყვეტილებით.

„როგორც ცნობილია, ძალიან მკაფიოდ გაცხადდა, რომ ივნისამდე გაგრძელდება პროგრესის ანგარიშის მომზადება ასპირანტი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის და ივნისში მინისტრიალზე მოხდება პროგრესის ანგარიშის განხილვა, სადაც მაღალი ალბათობით მიიღება გადამწყვეტილებები და საქართველოს საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, თუ რა იქნება შემდგომი, პრინციპულად ახალი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ნატოში ინტეგრაციას ასახავს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ნატო არის ერთსულოვანი იმპია, რომ საქართველოსთვის არ იქნება საკმა-

რისი ბუქარესტის, ჩიკაგოს სამიტის გადამწყვეტილებების გამოვრება. უნდა მოხდეს ახალ, პრინციპულ გადამწყვეტილებებზე ჩამოყალიბება, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა ნატოს შიგნით“, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ამბობს, რომ ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე იქნება მკაფიო გზავნილი და საუბარი იმაზე, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ნატოში უახლოეს ხანში.

„იმ შემთხვევაში, თუ ეს პერსპექტივა გარკვეული პოლიტიკური კონსტიტუტის ან სხვა მოსაზრების გამო იწვევება, იმ პერიოდში როგორ მოხდება საქართველოს უსაფრთხოების

უზრუნველყოფა, ანუ როგორ უნდა მოხდეს რუსეთის აგრესიის გაჩერება? აშშ-ის დაზვერვის ინფორმაციით, რუსეთის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია ხდება ცხინვალის რეგიონში, მართალია, მსხვილმასშტაბიან კონფრონტაციაზე არაა საუბარი, მაგრამ რაკი ზრდა შეინიშნება, ეს უკვე არის ინდიკატორი იმისა, რომ რაღაცა ხდება.

ის, რომ საქართველოსგან თავდასაცავად რუსეთს სამხედროების ზრდა არ სჭირდება, ფაქტია. ეს მანიშნებელია იმისა, რომ საქართველოს უსაფრთხოება ძალიან მყიფეა და, შესაბამისად, ახლა იქნება ევროპული ქვეყნების განცხადება ერთი მხრივ, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობას და გვერდში დაუდგებიან მას. მაგრამ უნდა იყოს ძალიან მკაფიოდ, რაშიც გამოიხატება ეს მხარდაჭერა. ყველაზე მარტივი საქართველოს უსაფრთხოებისთვის არის საქართველოს ნატოში გაწევრიანება. დღეს ეს იქნებოდა ადევნებული ნაბიჯი ევროპისგან“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას გიორგი თავდგირიძე.

თამთა ძარჩავა

მთავრობამ პარლამენტს შიდი

მონიშნა პარლამენტის გაყოფის

წინადადებათი მიმართა

საპარტამენტო მთავრობამ პარლამენტს ახალი მუნიციპალიტეტების შექმნის წინადადებით მიმართა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა განუცხადა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ განხილვის პროცესში მიღებული გადამწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება თვითმმართველი ქალაქის გამოყოფა განისაზღვრა და სამთავრობო კომისიამ ამ შეიძლება მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით იმუშავე. საუბარია თელავზე, ოზურგეთზე, ზუგდიდზე, გორზე, ამბროლაურზე, მცხეთასა და ასპლციხეზე.

„მაგალითად, თელავში, ერთი მუნიციპალიტეტის გარდა, იქნება ორი — ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი და თელავის მუნიციპალიტეტი, რომელიც ქალაქის გარდა ტერიტორიებს მოიცავს. ერთის ნაცვლად, ორი მუნიციპალიტეტი შეიქმნება დანარჩენ ქვეს მუნიციპალიტეტში. მთავრობის მიერ განსაზღვრული წარდგინება პარლამენტს უკვე გადა-

ეგზავნა“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ შერგელაშვილმა.

დაპირისპირება პარლამენტში

პარლამენტის სხდომათა დარბაზის წინ, უმცირესობისა და უმრავლესობის დეპუტატები ერთმანეთს სიტყვიერად დაუბრისპირდნენ. აკაკი ბოზოხიძემ, ომარ ნიშნიანიძემ და გია გაჩეჩილაძემ სხდომათა დარბაზში დაწვეებული კამათი დარბაზის გარეთ გააგრძელეს.

პარლამენტში ხმაური დეპუტატ გია გაჩეჩილაძის განცხადებას მოჰყვა.

დეპუტატმა პრეტენზიები სხდომის დროს მედიის წარმომადგენლებისა და ოპოზიციონერი დეპუტატების მიმართ გამოთქვა, რასაც უმცირესობის მხრიდან რეპლიკები მოჰყვა.

გია გაჩეჩილაძის განცხადებით, დეპუტატ ნუგზარ ნიკლაურზე განხორციელებული თავდასხმით უმცირესობის წარმომადგენლები აპელირებენ. „გასული წლებში ჩემს ოჯახზეც ხორციელდებოდა შეწოლა, ეს ყველაფერი მაშინ არავის გახსენებია, განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

პარლამენტის სხდომაზე დაწყებული კამათი სხდომის დარბაზში გაგრძელდა.

© ჩვენი მხარე სინამდვილე

„**დაბლის ხეობა ირაკლი ოქრუაშვილის მიზეზით დაიკარგა. ოქრუაშვილმა მაშინ ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის — მიხეილ სააკაშვილის დავალება შესრულა. მის მიერ ხეობაში შეყვანილი 4 ათასამდე ქართველი ჯარისკაცი ადგილობრივ მოსახლეობას ატერორებდა**“, — აცხადებს For.ge-სთან საუბარში დალის ხეობის სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი **ლეთ ჯაჭვლიანი**.

მისი თქმით, დალის ხეობის მტრისთვის მშვიდობიანად ჩაბარებაში ოქრუაშვილმა მილიონები აიღო. მეტიც, სააკაშვილ-ოქრუაშვილის ტანდემს სურდათ, რაღაცნაირად ამ ტერიტორიის ირგვლივ განვითარებულიყო კონფლიქტი. ამ საქმეში ყველაზე თავგამოდებული იყო ოქრუაშვილი. ამიტომ სწორედ ოქრუაშვილმა და სააკაშვილმა უნდა დააბრუნონ დალის ხეობა მშვიდობიანად, როგორც თავის დროზე მშვიდობიანად დაუთმეს მტერს.

„**შეიარაღებული ძალები არაკანონიერად იმყოფებოდნენ დალის ხეობაში, რადგან სამინისტროს შენაერთების ყოფნა აკრძალული იყო. ემზარ კვიციანი მათ გაეცალა და წავიდა იქიდან, ამის შემდეგ კიდევ ორი წელიწადი რატომ ამყოფებდნენ იქ 4 ათას ადამიანს, თუ ხალხის გამოწვევა არ უნდოდათ და რაღაც ინტერესები არ ჰქონდათ? ტყვია არ გავარდნილა ჩვენი მხრიდან, ისე ჩააბარეს ხეობა და ამის შემდეგ წამოვიდა ეს 4 ათასი კაცი, უამრავი ტყვია-წამლით, სანჯავით, ტენიკით, კვადროცილებით. მათი გაკეთებული არაფერი მინახავს, გარდა იმისა, რომ ატერორებდნენ ხალხს. 80-კაციანი დასაჭერთა სია ჰქონდათ, ჩემი თამაშობით, მაგრამ მე დამიცვა ჩემმა უფროსმა — ბადრი ბიწაძემ, წამომიყვანა ნითელ ხიდზე, 5-6 თვის შემდეგ იქიდანაც დამითხოვეს. 6-სულიანი ოჯახი დაგვტოვეს თანხის გარეშე, მერე ხეობაც ჩააბარეს.**

ამ 80-კაციანი სიიდან ზოგიერთები დაიჭირეს, თითქმის ყველა უკვე გამოსულია ციხიდან. ცნობილი ფაქტია, მფრინავი მინდია მაისურაძე სწორედ ოქრუაშვილის ბრძანებით ჰყავდათ დაჭერილი, რადგან მან კოდორის ხეობის დაბომბვაზე უარი განაცხადა და უკანონო ბრძანება არ შეასრულა. 50-მილიონიანი ქვეყანაა უკრაინა და ერთი ტყვია არ გასროლილა, საქართველოსხელა ნახევარკუნძული დათმეს, ჩვენ კი სუთი დღე ვეგმოვ რუსებს. ხეობაში გორაკის ტბასთან შესვდრია ოქრუაშვილი ვილაცებს, ვის შესვდა და რაზე მოილაპარაკეს, არ ვიცი, ეს გამოიძიოს პროკურატურამ, ფაქტია, დალის ხეობა დაიკარგა“, — გვითხრა ლეო ჯაჭვლიანმა.

გენერალ-მაიორი და ყოფილი პოლიტპატიმარი ტრის-ტან ნითელაშვილი ყველგან საუბარში აცხადებს, რომ ქართველ ჯარისკაცებს არ უნდა მიეცათ შეურაცხყოფა. უბრალოდ, ირაკლი ოქრუაშვილმა ჩვენი ჯარისკაცები კი არ შეიყვანა დალის ხეობაში, არამედ — დამსჯელები და ზონდერები. ზონდერებისთვის კი არ არსებობს არც სამშობლო, არც ოჯახი, მათთვის მთავარი მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ-პოლიტიკური ნიშნით ქმედებებია.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილმა განასხორციელა სადამსჯელო ოპერაცია ზონდერების ხელით. კოდორის ანუ დალის ხეობა, სამხედრო თვალსაზრისით, ყოველთვის პლაცდარმად ითვლებოდა და ამით შეგვეძლო, გვეწარმოებინა გარკვეული სახის სამხედრო და პოლიტიკური მოლაპარაკებები



ირაკლი ოქრუაშვილს დალის ხეობის დაპყრობაში პატივსაცემი

რუსეთთან. ირაკლი ოქრუაშვილმა კი ოცნება აუსრულა რუსებს, ჩააბარა კოდორის ხეობა. ეს ხეობა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კი არ ჩააბარეს მტერს, არამედ — წინარე პერიოდში და ეს მოახერხა ოქრუაშვილმა. ეს მაშინ, როცა კოდორის ხეობა ორგანიზებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და თავად კოდორელები აკონტროლებდნენ ამ ხეობას. ემზარ კვიციანი ამას ბრწყინვალედ ახორციელებდა, როგორც აფხაზეთთან მოლაპარაკებების კუთხით, ასევე, რუს სამშვიდოებოებთან მოლაპარაკებების მხრივ. ირაკლი ოქრუაშვილის დანაშაულზე როცა ვსაუბრობთ დალის ხეობასთან დაკავშირებით, მასთან ერთად უნდა ვისაუბროთ მიხეილ სააკაშვილზე, გიორგი ბარამიძეზე, რომლებიც გუნდური პრინციპით ასერხებდნენ ამ ყველაფერს. რუსებისთვის ეს ტერიტორია ხელსაწყო იყო, სამხედრო თვალსაზრისით სჭირებოდათ ეს სიმაღლე, რუსები მიხეილ სააკაშვილის გარეშე ამ შეთანხმებას ვერ განასხორციელებდნენ“, — აცხადებს ტრის-ტან ნითელაშვილი.

ამასთან, ადასტურებს, რომ ცნობილი მფრინავი მინდია მაისურაძე იმითვე დასაჯეს, რომ მან არ ჩაატარა საპერო-სადამსჯელო ოპერაცია ქართველების წინააღმდეგ, რისი ბრძანებაც ჰქონდა მიღებული ოქრუაშვილის მხრიდან.

ყოფილი პოლიტპატიმრის თქმით, ოქრუაშვილმა მარ-

თლაც სადამსჯელო ოპერაციები განასხორციელა ჩვენი ქვეყნის ისტორიული კუთხის წინააღმდეგ. თუმცა, ეს არ ყოფილა შეცდომა, რეალურად, ირაკლი ოქრუაშვილმა ეს შეგნებულად გააკეთა და ამ ავანტიურისტულ ოპერაციაში სერიოზული ანაზღაურებაც მიიღო.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ტრისტან ნითელაშვილი მიიჩნევს, რომ ოქრუაშვილი დღეს თავისუფლად კი არ უნდა დადიოდეს და პოლიტიკაში მე-სამედ მობრუნებასა და არჩევნებში მონაწილეობაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ მან პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულის გამო.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ დალის ხეობის მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით აუცილებელია ობიექტური გამოძიების ჩატარება. ამისთვის უნდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც ზუსტად დაადგენს კოდორის პრობლემატიკის მიზეზებს.

„**რა თქმა უნდა, ამ საქმეში ოქრუაშვილის უარყოფითი როლი იკვეთება. პირველ ეტაპზე გაუქმდა ბატალიონი „მონადირე“ და ქართულმა ძალებმა დაიკავეს ხეობა. შემდეგ კი მოხდა ამ ხეობის დათმობა. იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასთან (სააკაშვილ-მერაბიშვილთან) ერთად, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებდნენ, ამ ნაწილში პასუხს აგებს ოქრუაშვილიც. სია შეიძლება ფართო აღმოჩნდეს. უმარტივესია ამ საკითხის შესწავლა — ვინ მიიღო გადაწყვეტილება, რა იყო მოტივაცია, არსებობს თუ არა შესაბამისი წერილობითი ბრძანებულება, რამდენად სწორადაა შედგენილი და არის თუ არა მასში ხარვეზები. საზოგადოებისთვის საჯარო უნდა გახდეს განცხადებების წერილობითი ფორმა; თუკი ასეთი წერილობითი ბრძანება არ არსებობს მაშინდელი უმაღლესი მთავარსარდლის, ქვეყნის პირველი პირის, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან, მაშინ რა მოხდა, იყო ეს თავნებობა თუ კონტროლიდან გამოსული ჩინოვნიკის თვითნებობა, რომ უბრძოლველად დაეთმო ტერიტორია? ამის შემდეგ უკვე არსებობს მეორე ეტაპი, უშუალოდ 2008 წლის მოვლენების შემდგომ, როცა კოდორის ხეობის ბრძოლის გარეშე დატოვება მოხდა. ამდენად, აქაც ორი ტიპის დანაშაული იკვეთება — სამხედროების დანაშაული, რომლებსაც ვალდებულება ჰქონდათ, ეს ტერიტორია დაეცვათ და უმაღლესი ელიტის დანაშაული. ამას კიდევ სხვა სამხედრო დანაშაულებიც ემატება — 2004 წლის, 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულის ჩათვლით“, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე For.ge-სთან საუბარში.**

ამასთან, იგი განმარტავს, რომ გამოსაძიებელია ადგილობრივი მოსახლეობის დანაშაულების ფაქტებიც, რასაც პირადად იგი ვერც უარყოფს და ვერც დაადასტურებს, რომ ქართულმა ჯარმა კოდორის ხეობაში ასეთი ქმედება ჩადინა. თუმცა, გიორგი თავდგირიძე იზიარებს მოსაზრებას, რომ დანაშაულები, ანუ პოლიტიკური ნიშნით დაკავება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა.

„**ვერ ვიტყვი, რომ კოდორის ხეობის მტრისთვის გადაცემის საქმეში ფული აიღეს. იმხელა დანაშაულია ჩადენილი, რომ ფულის აღებით დამიმდებდა თუ არა ეს საკითხი, მნიშვნელობა არ აქვს. ამით არანაირად არ მსუბუქდება ის, რაც ჩადენილი აქვს სააკაშვილს, ოქრუაშვილს და მერაბიშვილს ამ გადაწყვეტილების მიღებით**“, — განმარტავს გიორგი თავდგირიძე.

მანანა ნოზაძე

© გადვით შემდგომში...

საპარლამენტო უმცირესობა ხელისუფლებას ქუთაისის აეროპორტის გამოედავება. ეკონომიკის მინისტრის მოადგილე კი, პირიქით, ძველ ხელისუფლებას არასწორი ინფორმაციების გავრცელებაში სდებს ბრალს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გიორგი კანდელაკმა და გია თევდორაძემ აეროპორტში ბრიფინგი გამართეს. ისინი ვილნიუსის მიმართულებით ახალი რეისის დამატებას გამოეხმაურნენ და აღნიშნეს, რომ ეს წინა ხელისუფლების დამსახურებაა.

„ინერციით მზარდი ფრენები მხოლოდ მიზერული ნაწილია იმ გეგმისა, რომლის სორცშესასხმელად პოლიტიკურ ტერორზე გადმოსული მთავრობა არაფერს აკეთებს. მგზავრთა რაოდენობა დაეზილების სიიადით მსოფლიოში პირველ ავიაკომპანია „რაინვართან“ ქუთაისიდან ფრენის დაწყების შესახებ მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, დასრულებული იყო. 2013 წლის მაისიდან ამ ავიაკომპანიას უნდა გაეხსნა 4 ევროპული მიმართულება საშუალო ფასით 50 ევრო.

ამ პროექტის ამოქმედებას მთავრობა კვლავაც ქილიკით უყურებს. არ აწარმოებს „რაინვართან“ თითქმის ბოლომდე მიყვანილ მოლაპა-

უკვე მინახავს პერ ეპეპიან!

პოლიტიკა და პირისპირება საუბარში გადინავს

რაკებებს. ამ პროექტის ბოლომდე მიყვანა პირდაპირ აისახებოდა ძალიან ბევრი მოქალაქის კეთილდღეობაზე“, — განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, მთავრობა ქუთაისის აეროპორტის განვითარებას აფერხებს. „ევროკავშირთან ღია ცის ხელშეკრულება — რომელიც საქართველოს აქვს — საშუალებას გვაძლევდა, ქუთაისის აეროპორტი ქვეუღივო დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიების ცენტირად, რაც ევროპაში მოგზაურობას სრულიად ხელმისაწვდომს აქცევდა უამრავი ჩვენი მოქალაქისთვის, ვისთვისაც დღეს ეს წარმოუდგენელია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის. გარდა ამისა, აეროპორტის დაგეგმილი მასშტაბით განვითარება გააჩნდა ევროკავშირიდან ტურისტების ძალიან სერიოზულ ნაკადს, რაც პირდაპირ აისახებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე“, — თქვა კანდელაკმა.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ გიორგი კანდელაკის განცხადებას სწრაფად უპასუხა.

„ქუთაისის აეროპორტის მშენებლობის პერიოდში მართლაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ავიაკომპანია „რაინვართან“, თუმცა, უკვე აღინიშნოს, რომ ისინი შეწყდა ჯერ კიდევ აეროპორტის გახსნამდე, ყოფილი ხელისუფლების პირობებში — ვერ მოხდა მსარეო შორის საბოლოო შეთანხმება. საუბარი შეესებოდა ორ მიმართულებას და არა ოთხს, როგორც ამას აცხადებს გიორგი კანდელაკი.

ავიაკომპანია „ვიზ ეართან“ ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ აეროპორტის გახსნამდე შეთანხმება მოხდა მხოლოდ კიევის მიმართულებაზე. რაც შეეხება ავიაკომპანია „ვიზ ეარის“ ყველა დანარჩენ ახალ მიმართულებებს, კერძოდ: ვარშავა, კატოვიცე, დონეცკი, ხარკოვი, ლვოვი, ვილნიუსი, ბუდაპეშტი — ამ მიმართულებებზე მოლაპარაკებები და შეთანხმება მოხდა 2013-14 წლებში. ასევე სანგრძლივი მოლაპარაკებების და მუშაობის შედეგად 2014 წელს „ვიზ ეარის“ პრეზიდენტ ჯოზეფ ვარაძის საქართველოს ეკო-

ნომიკის მინისტრთან შეხვედრის დროს ოფიციალურად გაუდგრა 2015 წელს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მათი ბაზირების საკითხი, რაზეც ახლა აქტიურად მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები“, — აღნიშნულია საქართველოს აეროპორტების გაერთიანების განცხადებაში.

მხოლოდ ეს კი არა, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ახალი რეისებიც შესრულდება. ამის დასტურია ისიც, რომ 31 მარტს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმსხვილესმა დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანია „ვიზ ეარმა“ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ვილნიუსის მიმართულებით პირველი რეისი განახორციელა.

ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, 2013 წლის განმავლობაში ყოველდღიურად მიმდინარეობდა მუშაობა, რომ ქუთაისის აეროპორტს ახალი რეისები დამატებოდა.

„2012 წლის 27 სექტემბერს აეროპორტი გაიხსნა ძალიან ნაჩქარევად.

შესაბამისად, მთელი 2013 წლის განმავლობაში ხელისუფლებას ყოველდღიურად მუხლჩაუსრელი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ აეროპორტს ნორმალურად ემუშავა. გამოიყო დამატებით 20 მილიონ ლარამდე ინვესტიცია, დასრულდა სამშენებლო სამუშაოები, გასტუმრებულ იქნა კრედიტორული დაგვიანება.

ჩვენ დიდი ყურადღებას ვუთმობთ იმას, რომ ქუთაისის აეროპორტი იყოს წარმატებული, სერვისები კი — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი. ჩვენი მეშვეობით და მოხსენიებით დღეს ქუთაისის აეროპორტში ყველა პირობაა შექმნილი, რათა სრულფასოვნად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოემსახუროს მგზავრებსა და ავიაკომპანიებს“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

2013-14 წლებში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დასაქმებულია რაოდენობა 100%-ზე მეტი გაიზარდა. 2012 წლის 27 სექტემბრიდან დღემდე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მოემსახურა 228 150 მგზავრს და 2198 რეისს. მათ შორის, 2014 წლის 1 იანვრიდან 30 მარტის ჩათვლით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მოემსახურა 50 997 მგზავრს და 246 რეისს.

გამა დანელია

„მრთი რამ უნდა შევასწოროთ მარგველაშვილს, პრეზიდენტის სასახლე, სადაც უკანონოდ დგას შენაგარდა თავის მცირე, თანაც „ნაცურ“ იდეებით აღვსილი ამაღლსთან ერთად, სააკაშვილმა ააშენა გადარბეხული, დამცრობილი, ლუკმას დანატრებული მოსახლეობის სარჯზე“.

„მარგველაშვილი ნაწილობრივ უკვე გახდა სააკაშვილი №2, როცა მის მიერვე არაერთგზის კატეგორიული ტონით გაჟღერებულ განცხადებებს მიუფრთხილდა და ავლანობის რეზიდენციაში შევიდა, რითაც სააკაშვილს გაურკვეველი წარმოშობის ფულით აშენებული ეს შენობა „გაუპრავა“. მარგველაშვილი ამ სასახლეში, როგორც თავად უწოდა, ბოროტებისა და გარყვნილების ამ ბუნაგში კი არ შევიდა, შეიპარა, რითაც ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ აიგდო აბუჩად“.

ეს ამონარიდები საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა კალამს მიეკუთვნება. გამოქვეყნებულ სტატიებში ისინი და სხვებიც ქოქროს აყრიან პრეზიდენტს – ბიძინა ივანიშვილისგან დისტანცირებულს და საკუთარი მცირე, მაგრამ მაინც, განსვავებული აზრის მატარებელს და ეს ყველაფერი – ივანიშვილის სატელევიზიო ინტერვიუს შემდეგ.

გავიმეორებ – არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელს თუ ნებისმიერ სხვას უფლება აქვს პრეზიდენტიც გაკილოს, პატრიარქიც და სხვაც, რასაც ის (ბიძინა) წარმატებით ახერხებს, მაგრამ, როდესაც მას საქართველოს მოსახლეობა უგვირგვინო მეფედ აღიქვამს – არ ეგების საჯარო, სატელევიზიო ჭორიკანობა.

ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილი რომ რიგითი „არასამთავრობო“ იყოს, როგორცაც ამ ბედმავე ქვეყანაში უხვად არიან, მის კრიტიკას სულაც არ მიაქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ბიძინა სხვა – სცენიდან კულისებში გადაბარგებული და მარიონეტული ხელისუფლების დამრეგულირებელი, ანუ ზუსტად ის, რაც ზემოთ აღვნიშნე – უგვირგვინო მეფე.

ბიძინა ივანიშვილმა, თავისი ბოლო გამოსვლით (იმედია, მომავალშიც „გაგვახარებს“), ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუმაც გააშიშვლა და თავიც გაიშიშვლა. აკი ხელისუფლების საქმიანობაში არ ჩავერევით?! ჩაერიდა და არა მარტო ირიბად, პირდაპირ აღესილი ნაჯახის „რაფინირებული“ მოქმედებით.

არ ჩავერევით და ერევა. რას ვერჩით მარგველაშვილს – არ შევალ (პრეზიდენტის სასახლეში) და შევიდა. მასწავლებელ-მოსწავლე ბარიბარში არიან. მაგრამ არა, რახან მარგველაშვილმა ორიოდ მოზომილი სიტყვა შეჰმება მასწავლებელს, უნდა მოიკვეთოს. და იწყება მარგველაშვილის „გაშვების“ ისტერია – პრეზიდენტის სუსტი მხარეების გამოშვებებით, ქილიკით და ა.შ. თითქოს პრეზიდენტი მათ არ აერჩიოთ.

იქნებ მათ არ აურჩევიათ და პრეზიდენტის არჩევნებზე ისე გაყალბდა, როგორც ნაცთა ყველა არჩევნები? „ოცნება“ რომ მთელს მსოფლიოს ეფიცება – ყველაზე დემოკრატიული, გამჭვირვალე არჩევნები ჩაატარეთო?

საპრეზიდენტო არჩევნებიდან ერთი წელიც არ გასულა, მაინც რა სასწაული (ცუდი გაგებით) მოახდინა „დაკოდოლმა“ პრეზიდენტმა – ესოდენ რისხვა რომ გამოიწვია საზოგადოებაში?

„დაკოდოლს“ იმიტომ ვხმარობ, რომ პრეზიდენტის ფუნქციები ერთობ დაკნინებულია. მაშ, რაშია საქმე? ძალიან მარტივში – ბიძინას აღარ მოსწონს. და რახან მას (ღმერთს) აღარ მოსწონს, ჩვენც აღარ უნდა მოგვწონდეს. რა გამოდის? კაცს ერთი წელიწადიც არ უპრეზიდენტია და აღარ მოსწონს ბიძინას. წი 4 წელიწადნახევარია. ვადადელი არჩევნები გვიშველის? არის ვადადელის ჩატარების მექანიზმი?

ივანიშვილმა, თავისი სატელევიზიო „გულახდილობით“ მძიმე პოლიტიკური ვითარება შექმნა, დაუპირისპირა რა ერთმანეთს სახელისუფლებო შტოები. ესლა აკლდა ამ გაპარტახებულ ქვეყანას! ცამდე მართალი რომ იყოს ივანიშვილი, მისი საქციელი და არა პრეზიდენტის, დაგმობის ღირსია, თუმცა, მას სიტყვას ვინ შეჰმება?

მარგველაშვილი ივანიშვილის აღმოჩენა და საქართველოს მოსახლეობისთვის თავსმოხვეული პრეზიდენტია. მას ხალხმა ივანიშვილის ხათრით მისცა ხმა. ახლა რა უნდა ქნას ხალხმა? შეურაცხყოფილ პრეზიდენტს უყუროს? აკი ყველაზე კარგი შერჩევა ვიცით, რომ აცხადებდა ივანიშვილი? ეჰ, ბიძინა, ბიძინა, ამ საქმეში არ ყოფილხარ ისეთი „მაგარი“, როგორც გვიმტკიცებდი.

მაინც რატომ არ მოსწონს ივანიშვილს პრეზიდენტი მარგველაშვილი? უპირველესად, იმიტომ, რომ სააკაშვილის მიერ აშენებული სასახლეში შევიდა. ნუთუ ამ დაქვეულ ქვეყანაში სხვა საქმე არ არის, რომელზეც შეგანერებო ყურადღებას?

სიტყვა გატეხა პრეზიდენტმა? კეთილი, მაგრამ პრეზიდენტის სიტყვის გატეხას ქვეყანა არ დაუტყვევია, ივანიშვილის სიტყვის გატეხამ კი, რა დღეში ჩაგვადგო?

მე თუ მკითხავთ, მარგველაშვილმა კარგი ქნა, სიტყვა რომ გატეხა და სასახლეში შევიდა. ამით გააგრძელა პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციონირების ციკლი, რომელშიც ცუდი და კარგი პრეზიდენტის მიერ საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულება, გაკეთებული საქმეებისდა მიხედვით უნდა ფასდებოდეს და არა სამუშაო ადგილსამყოფლის. შესაძლოა, პრეზიდენტის სასახლეს, სააკაშვილის წყალობით, მართლაც გარყვნილების იმიჯი აქვს, თუმცა, ამას დამტკიცება სჭირდება, მაგრამ რა შუაშია შენობა?

დიახ! სააკაშვილმა ააშენა სასახლე, მაგრამ ეს სასახლე თბილისშია და არა იქ, სადაც სააკაშვილია. ამ სასახლეს სააკაშვილს სამარეში ვერავინ გაატანს.

დიახ! სასახლე აშენდა ბიზნესისთვის შენერილი ფულით, მაგრამ თუ ეს ასეა, რაღას უყურებს ახალი ხელისუფლება – გამოიძიოს, დაადგინოს სიმართლე. მაგრამ სიმართლის დადგენის შემთხვევაში შენობა აგურ-აგურ, ანუ ნატურით, ხომ არ დაუბრუნდება მათ, ვისაც ფული დაადებინეს?

ის, რომ პრეზიდენტს სასახლე უნდა ჰქონდეს, განსაჯელი



პრეზიდენტის სასახლის ირგვლივ აქიოტაქი ბრძელდება

არ უნდა იყოს. ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა – ამ ლატაც ქვეყანაში პრეზიდენტს ასეთი სასახლე არ უნდა ჰქონდესო და ამ „ნაროდნიკულ“ მოსაზრებას ყველა „ოცნებელმა“ შეუწყო ხმა, მათ შორის მარგველაშვილმაც. მაშინ ის პრეზიდენტი არ იყო.

არ უნდა ჰქონდესო! კეთილი, მაგრამ, როდესაც ფაქტი სახეზეა და აქვს... უნდა დავანგრეოთ, სხვა დანესებულებას გადავცეთ, უნივერსიტეტი გავსწათ? რა უსუსურები ვართ, თანაც პრეზიდენტის ინსტიტუტში ერთობ გაუთვითცნობიერებელი.

დიახ, დამშეული ქვეყნის პრეზიდენტი არ უნდა იყოს სასახლეში გამოქმნილი, მაგრამ არც ბიზნესმენმა უნდა წამოჭიმოს დამშეული ქალაქის თავზე მინის სასახლე. პრეზიდენტს – ქვეყნის სახეს, უფრო სჭირდება სასახლე, თუ ბიზნესმენს? თუ ივანიშვილი დაიჩემებს, რომ მას, როგორც მილიარდერს და ბიზნესმენს უფრო სჭირდება სასახლე, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს – კარგად ყოფილა ქვეყნის საქმე. ისე, კაცმა რომ თქვას, „ერზე გადამკვდარი“ მილიარდერი, რატომ არ უთმობს თავის „ბროლის“ სასახლეს პრეზიდენტს?

არ დაუთმო. საბჭოთა პარტიული აპარატის შენობაში მიუჩინა ადგილი. თავის დროზე ცკ-ს შენობა პარტიული აპარატისთვის აშენდა და მას ნაკლებად ჰქონდა წარმომადგენლობითი ბიტი ფუნქცია. ამ ფუნქციით, ანუ წარმომადგენლობითით, აღჭურვილი იყო მთავრობის სახლი, სადაც განთავსებული იყო უზენაესი საბჭო და მინისტრთა საბჭო.

თუმცა, ვერც ის დაიკვეხნიდა პროტოკოლისთვის შესაფერის წარმომადგენლობითობას. მახსოვს, გასული საუკუნის 70-იან წლებში დანიის დედოფლის მარგრეტეს ვიზიტი საქართველოში. პროტოკოლური თვალსაზრისით, ეს ვიზიტი თქვენი მონა-მორჩილის მიერ იყო მომზადებული. მაშინ ბევრი ვიმტვრეოთ თავი, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარის გიორგი ძონენიძისა და დანიის დედოფლის ოფიციალური საუბრისთვის შესაფერისადგელი გამოგვეძებნა. სამწუხაროდ, არაფერი გამოგვივიდა და საუბარი გაიმართა უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში. იმჟამად, შენობაში არ იყო სტუმრების მისაღები დარბაზი. მაღალი რანგის სტუმრის კაბინეტში მიღება, მით უმეტეს დედოფლის, პროტოკოლის თვალსაზრისით უხეში დარღვევა.

დღეს სხვა ვითარებაა. პრეზიდენტს, რაც არ უნდა ჩამოვართვათ ფუნქციები, სიტყვა „პრეზიდენტს“ ვერ ჩამოვაცლით. და რახან ასეა, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ეს სიტყვა, თავისთავად, მოითხოვს პროტოკოლური ფუნქციების შესრულებას – დაჯილდოების ცერემონიალის გამართვას, უცხო ქვეყნების დელეგაციების, ელჩების რწმუნებთა სიგელების მიღებას, საზეიმო ცერემონიალების გამართვას და ა.შ. და რახან ეს ასეა, თანაც ყველა ქვეყანაში, ჩვენ ხომ არ ვიქნებით ცუდად გამორჩეულები?

დამოუკიდებლობის წლებმა ისეთი საკითხი წამოსწია, როგორც თუნდაც პრეზიდენტის სასახლის არსებობა. თვალის შევალეთ დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა მეთაურების სასახლეებს, მაგალითად, ბაქოში, აშხაბადში, ასტანაში, მინსკში, ტაშკენტში, კიევში, სხვაგან. სააკაშვილის მიერ აშენებული სასახლე ვერაფრით შეედრება ნიაზოვის მიერ აშენებულ მართლაც სასახლეს ან ალიევის რეზიდენციას.

პრეზიდენტის სასახლე ქვეყნის სახეა და თუ დღეს ქვეყანა ღარიბ-ღატაკია, სამარადისოდ ხომ არ არის განწირული სიღატაკისთვის? ეს ხელისუფლება იმას კი არ უნდა ფიქრობდეს, პრეზიდენტის სასახლე და ინსტიტუტი ხალხის სიდუხჭირის დონეზე როგორ დაიყვანოს, არამედ იმას, რომ ქვეყნის ცხოვრების დონე პრეზიდენტის სასახლეს გაუთანაბროს.

„სასახლე არ გვინდაო“, – ამბობენ ხელისუფლებაში. მაგრამ არც ერთ მათგანს არ უთქვამს დუხჭირი ქვეყნისთვის შეუფერებელი ხელფასების და დანაშაუტების მიღებაზე უარი. არც ერთი მათგანი შავი „ტოიოტას“ ჯიპიდან არ ჩამოსულა და იაფფასიან ავტომანქანაში არ გადამჯდარა. არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ არაფრის მომცემ (ცხადია, ქვეყნისთვის) საზღვარგარეთის მივლინებაში არ წავალო და ა.შ.

პრეზიდენტის სასახლე არ მოსწონთ იმიტომ, რომ სააკაშვილმა ააშენა და რამდენიმე წელიწადი დაჰყო იქ. თბილისის ომის შემდეგ პარლამენტის შენობის დანგრევაც სურდათ, აქაოდა ის „სატანის“, ანუ გამსახურდიას ბუნაგი იყო. ამ ლოგიკით, პრეზიდენტის სასახლეც უნდა დაინგრეს, ვინაიდან იქ „სატანა“ სააკაშვილი იყო.

23 წელიწადი გავიდა მას შემდეგ. თითქოს ბევრი რამ შეიცვალა, ევროატლანტიკური სივრცისკენაც მივდივართ, „დემოკრატიულებიც“ გავხდით, მაგრამ პრიმიტიული, პროვინციული აზროვნება ძველბურჟუაზიული შემოგვრჩა.

პრეზიდენტის სასახლე არ გვინდა, მაგრამ პრეზიდენტისთვის სხვა სასახლე გვინდა. და გაპარტახებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა ათონელის ქუჩაზე, ორბელიანების ძველ სასახლეს ლამის ხუთსართულიან შენობას უშენებს უკან. როგორც ამბობენ, პრეზიდენტის აპარატისთვის.

პრეზიდენტის სასახლე გვაქვს და პრეზიდენტის სასახლეს ვაშენებთ! ესეც სახელმწიფო ფულის „ყაირათიანი“ გამოყენების ერთ-ერთი მაგალითი.

პრეზიდენტის სასახლე რა ხანია არსებობს და იქ პრეზიდენტი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, ვინ და რა იყო წინამორბედი. სააკაშვილი ავტორცობას სასახლეში სჩადიოდა და ამიტომ იქ პრეზიდენტი არ უნდა შევიდესო, პრიმიტიული აზროვნებაა. ამ თვალსაზრისით, ბუში არ უნდა შესულიყო კლინტონის „ოვალურ კაბინეტში“, ვინაიდან იქ ლეენისკიმ კლინტონს სპერმა ადინა, თანაც მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ტელეფონით ლაპარაკობდა პალესტინელთა ლიდერ იასირ არაფატთან.

„ოვალური კაბინეტი“ კლინტონის არ იყო. „ოვალური კაბინეტი“ აშშ-ს ყველა პრეზიდენტის იყო და იქნება, და თავში არავის მოუვა კლინტონ-ლეენისკის დელიკატური ურთიერთობის გამო მასზე უარის თქმა.

და კიდევ ერთი რამ: „მთავარსარდალი ყოველმხრივ მოწესრიგებული და ზნემაღალი ადამიანი უნდა იყოს, რაც სანაქებოდ საფიცარი გავაწინა ოდითგან ქვეყანაში, ოჯახური სინმინდეა და თუ ამასაც არასერიოზულად მივუდგებით, თანაც მაგალითის მომცემად პრეზიდენტი გვეყოლება, არ მგონია, სიკეთეს ვეზიაროთ“, – წერს მწერალი. გეტანხმებით, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ახლა?

სად იყო ივანიშვილი, როდესაც საპრეზიდენტოდ მარგველაშვილს გვაძალბებდა?! არ მითხრათ, არ იცოდაო. სად იყო ამომრჩეველი, ცხვარივით რომ გაჰყვა ივანიშვილს და მისი ხათრით მარგველაშვილი გაიპრეზიდენტა?

არის დღევანდელი ქართული ოჯახი „სანაქებოდ საფიცარი“? ჩვენ გვინდა, რომ ასეთი იყოს, მაგრამ? 20 წლის წინათ თურქეთთან საზღვრის გახსნამ და სხვა „სიკეთებთან“ ერთად, იქ ქართველ ქალთა „მოღვაწეობამ“ საწინააღმდეგოში ხომ არ დაგვარწმუნა? არ მითხრათ, ეს ერთეული შემთხვევებიაო.

თანამედროვე პოლიტიკური არენა გაჯერებულია არა მარტო პოლიტიკოსთა „გერლ ფრენდებით“, არამედ „ბოი ფრენდებითაც“, ცხადია, კაცებისთვის. მაშინამდელი რაოდენობა პოლიტიკაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სულ ახლახან, გერმანიის ვიცე-კანცლერად და საგარეო საქმეთა მინისტრად გიდო ვესტერველე იყო, რომლის მეუღლე კაცია. უკრაინის „რევოლუციურ“ ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრ იაცენიუკიდან დანყეებული თითქმის ყველა „ცისფრობაში“ შეინიშნება, ქალბატონი ტიმოშენკო – ავტორცობაში. საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, მსოფლიოს თავი სექს-განგსტერად დაამასოვრა. არც მისი წინამორბედი ყოფილა უმნიშვნელო, ისე, როგორც იტალიის ყოფილი პრემიერი ბერლუსკონი.

ჩამოთვალა შორს ნაგვიყვანს. ჩამოთვლით სულაც არ მინდა გავამართლო მარგველაშვილი ან სხვა, ხელისუფლებიდან, არც ისინი არიან უმნიშვნელონი. და თუ „ა“-ს ვამბობთ, „ბ“-ც მივაყოლოთ, მიუკერძოებლად ვამხილოთ ყველა, ვინც ხელისუფლებიდან გემოძღვრავს და ვისაც საკუთარი ამორალურობის გამო ამის უფლება არ აქვს. მარგველაშვილი, მათთან შედარებით, უმაჩო კრავია, მაგრამ მათზე რომ ივანიშვილს არაფერი უთქვამს?

იქნებ მანამდე ვთქვათ, ვიდრე ის იტყვის? იქნებ ვაძულოთ ხელისუფლება, გვაჩვენოს „საიდუმლო“ ვიდეოკადრები? პოლიტიკის სინმინდისთვის, ერის სინმინდისთვის იქნება ეს საჭირო და არა ჭორიკნობისთვის. და თუ მავანი პოლიტიკოსი

– ქალი იქნება თუ კაცი, ვიდეომასალის გასაჯაროების შემდეგაც არ გადადგება, გადავაყენოთ!

სასახლეს კი შევევით. რახან აშენდა, შევინარჩუნოთ ის, როგორც სასახლე და არა როგორც უნივერსიტეტი ან სხვა რამ. ერთდერით სწორი ნაბიჯი, რაც მარგველაშვილმა გადადგა ისაა, რომ პრეზიდენტის სასახლეში შევიდა.

აპელატ ჰიკაშვილი, პოლიტოლოგი.



© ალაშიანი დროში



დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა რუსეთში მოღვაწე ქართველს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს ალაშსანდრა მაქსარიას.

იგი დაიბადა ქ. ზუგდიდში ექიმების – დავით მაქაყარიასა და ნათელა ცხადიას ოჯახში. ოქროს მედალზე დაამთავრა ქალაქის მე-5 საშუალო სკოლა. მშობლების პროფესიის გავლენით და მათი სურვილის გათვალისწინებით სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვის სერენოვის სახელობის პირველ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. აქვე დაამთავრა ასპირანტურა. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1984 წელს – სადოქტორო. აირჩიეს პროფესორად. ამჟამად მუშაობს სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და გინეკოლოგიის კათედრის გამგედ.

ბატონი ალექსანდრეს ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის შედეგები წარმოდგენილია მის სამეცნიერო შრომებში, რომელთა რიცხვი 850-ს აღწევს. მათგან 32 მონოგრაფია, 14 კი – სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო.

მთელი სსოპრება – ჯანმრთელობის დასკვის სდარაჯოზე

წარმატებული მეცნიერი, პედაგოგი და ღირსეული მოქალაქე

ალექსანდრა მაქსარია – 70

ნაშრომები გამოცემულია რამდენიმე უცხო ენაზე. ბატონი ალექსანდრე ალი-არებულია საუკეთესო პედაგოგად. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 160 დისერტაცია, მათ შორის – 24 სადოქტორო. ბატონ ალექსანდრეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი პროფესიონალების აღზრდა-დახელოვნებაში. 10-მა თანამემამულემ მისი ხელმძღვანელობით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი.

მისი აღზრდილები წარმატებით საქმიანობენ როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში.

სამეცნიერო და პედაგოგიურ სარბიელზე მოპოვებულმა წარმატებებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი აღიარება. ბატონი ალექსანდრე არჩეულია ციმბირის სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად, მრავალი საერთაშორისო საზოგადოების წევრად: მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის საერთაშორისო აკადემიის წევრად, რუსეთის მეანგინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, რუსეთის სამედიცინო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, თრომბოზის და ჰემოსტაზის კლინიკური პრობლემების საერთაშორისო აკადემიის (ჰისტონი, აშშ) წევრად.

ბატონი ალექსანდრეს სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესების სფერო მრავალფეროვანია. ესაა ჩირქოვანი სექტიკური დაავადებები მეანობასა და გინე-

კოლოგიაში, მაღალი რისკის ორსულობის წარმართვა, მასიური სამეანო სისხლდენები, დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგების სინდრომი, ანტიფოს-ფოლიპიდური სინდრომი, მეტაბოლური სინდრომი, გენეტიკური და შეძენილი ტრომბოფილის კლინიკური შედეგები მეანობაში, გონეკოლოგიასა და ონკოგინეკოლოგიაში, პრეეკლამსია, ნაყოფის დაკარგვის სინდრომი, ოპერაციული მეანობა და სხვ. ბატონი ალექსანდრე აღიარებულია კლინიკური ჰემოსტაზიოლოგიის წამყვან სპეციალისტად რუსეთში. მან რუსეთსა და მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა ზემოთ მითითებული სინდრომების კლინიკური ასპექტებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები. მან თავის მონაფეხებთან ერთად ჩაატარა სამეანო პრაქტიკაში არსებული უმეტესი გართულებების პათოგენეზის შესახებ საუკუნეების განმავლობაში არსებული წარმოდგენების ღრმა რევიზია.

ბატონ ალექსანდრეს შემოქმედებითი კავშირები აქვს მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან, მეანგინეკოლოგებთან, პერინატოლოგებთან და ჰემოსტაზიოლოგებთან. იგი სისტემატურად გამოდის მსოფლიო სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე სამეცნიერო მოხსენებით (ტაორმინა, იტალია, 2011, მინიკოსი, საბერძნეთი, 2012, მონტევიდეო, ურუგვაი, 2011, კუალა-ლუმპური, მალაიზია, 2006, კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 2009, რომი, იტალია 2012).

ბატონი ალექსანდრე იყო მოსკოვში 2013 წელს ჩატარებული პერინატოლოგიაში მსოფლიო კონგრესის სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი.

ბატონი ალექსანდრე რუსეთის სახელმწიფო და რამდენიმე სახელობითი პრემიის ლაურეატია. მინიჭებული აქვს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მოღვაწის და ექიმის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მოსკოვის საპატრიარქოს – ორდენით „პროფესია და ცხოვრება“.

ბატონი ალექსანდრეს ოჯახის ყველა წევრი ერთგულად და მაღალ პროფესიულად ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მეუღლე – ქალბატონი ტატიანა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. შვილი ვლადიმერი, რომელმაც დაამთავრა აშშ მენოსონტის უნივერსიტეტი, ამჟამად ხელმძღვანელობს „ჯონსონ-ჯონსონის“ კომპანიას აზიაში, ავსტრალიასა და წყნარი ოკეანეთის ქვეყნებში. ქალიშვილი ნატომ დაამთავრა მოსკოვის სერენოვის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი. არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და მუშაობს ამავე უნივერსიტეტში.

ბატონ ალექსანდრეს შემოქმედებითი ურთიერთობები აქვს ქართველ კოლეგებთან. ბევრჯერ გამოსულა სამეცნიერო მოხსენებებით საქართველოში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე და სხვა კონგრესებზე. არჩეულია საქართველოს კლინიკური ჰემოსტაზიოლოგიის ასოციაციის საპატიო წევრად.

ქართველი კოლეგებისა და მისი მონაფეხების სახელით ვულოცავთ ბატონ ალექსანდრეს იუბილეს, ვუსურვებთ ბედნიერებას და მორიგ წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მარინა ჯანგიძე,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს კლინიკური ჰემოსტაზიოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი

© აკაკი გულში

● აქ ზოგიერთი პუბლიკისტი გმობს ნუგზარ წიკლასის გალახვის ფაქტს. მე კი ვთვლი, რომ ნებისმიერი წევრი იმ გუნდისა, რომელიც უსინდისოდ ამტკიცებს, რომ ეს ორიოდე „სინაიკი“, „სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი, კარგად მომზადებული, ელექტრონული შეიარაღებული, რვაკაციანი ჯგუფის ნაშთიკმედარია, „სპეციალურ, კარგად მომზადებულ“ ცემას იმსახურებს.

● დიდი რვანის სამიტმა ხო არ ცემა?
● ბარაკის დაკეტილს ჯონი გააღებსო და ისევ „მაბი“ და NATO აიტყვს. მგონი პატივსაცემ ოპამასაც აღარ სცემენ პატივს!

● კინოფილმ „გარაჟში“ რო გუსკოვის ცოლი გააფრენს (კაკ გუსკოვ, პაჩეშ გუსკოვ, აბიატ გუსკოვ?), ისე არ გამოვარდა ნადირაშვილი დილით?

● გამოკითხვებით დასტურდება, რომ ვართ ქრისტიანულ-დემოკრატიული გენეტიკის; ვისწრაფით ევროპისკენ; უდიდეს პატივს ვცემთ ეკლესიას;

● მოკრძალებულად გვინდა, რომ თბილისის მერიც თბილისელი იყოს და აბა არჩევენებზე რა ოხრობა გვემართება?

● როგორც ჩანს, რუსეთი შემდგომშიც გააგრძელებს მსოფლიოში ძალის გამოყენების გზით საზღვრების შეცვლის პოლიტიკას, რასაც დასავლეთი „არაღიარების“ პოლიტიკას დაუპირისპირებს, ამას თავის მხრივ რუსეთი „არაღიარების არაღიარებას“ დაუპირისპირებს. მოკლედ, დიპლომატიური ბრძოლა „არაღიარებასა“ და „არაღიარების არაღიარებას“ შორის წარმართება.

● ჩვენ ვლადიმერ და სერგეიზულად რომ დაფიქრდეს – როგორ უნდა იცხოვროს და რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა, რომ ასე შეაძლოს თავი ამდენ ხალხს ეგ კი არა და რაც მე აქ მაგაზე სტატუსები წავიკითხე, აი იმ მამაჩემის სულს ვფიცავ, მაგის მეოთხედი რომ ჩემზე გამეგო, თავის დაბრუნებას თუ ვერ შევძლებდი, ქე მაინც სადმე ისე გადავიკარგებოდი, რომ ვერა კაცი ვერ მომაგნებდა რა!

კაცის უბედურებაში როგორ უნდა გაგაცინოს და გალადოს, მარა ღირსები არიან!

● 21-ე საუკუნის თბილისელი გოგოები: თბილისში არიან ის გოგონები, რომლებსაც როცა შიათ, მთელმა ფეისბუქმა იცის.. აი ის გოგონები, ბრაზილის ნაერებს ვეროპის ჩემიონატზე რომ ელოდებიან.. აი ის გოგონები მაქსიმუმ პრინცს რომ ელოდებიან და მინიმუმ ცხენს... აი, ის გოგონები, 13 წლის ასაკში

რომ მისგან, თურმე ცხოვრება დაენგრათ... აი ის გოგონები, რომლებსაც თვითონაც „ყველა კაცი ერთიანია“... აი ის გოგონები, საკუთარ სურათებს სასიყვარულო კომენტარებს რომ უწერენ... აი ის ზაგვრემანი გოგონები „ანდრიანა ლემას გავხარ“ კომენტარზე „დასტოინ“ მაღლობას რომ ისდიან... აი ის გოგონები ექვსის მერე რომ არ ქამენ და ამიტომ, ექვსამდე ათი წუთით ადრე სკდებიან... აი ის გოგონები, ფრჩხილის გადატყვისგან ტრაგედიას რომ ქმნიან... აი, ის გოგონები, ვალენტინობა რომ არ ევასებათ, იმიტომ რომ ყველა დღე სიყვარულის აქვთ... აი, ის გოგონები, მართლ მაგათ რო აქვთ ნაღდი „იზაზედ მარანტები“... აი ის გოგონები, ქოთნის ლობიოდან სუშიზე რომ გადავიდნენ... აი ის გოგონები, შეყვარებულებს რომ შორდებიან, ფეისბუქიდან შლიან და შემდეგ ახალი, სხვა პროფილით რომ იმატებენ დასათვლიერებლად... აი ის

გოგონები,სადაც მათ ბიჭს რომ გაესაუბრებინ და ოთახის ბოლოდან მოვარდებიან სინათლის სისწრაფით „რას ლაპარაკობთ?“... აი ის გოგონები, შეყვარებულს რომ გაიჩენენ და საერთო ფეისბუქს რომ აკეთებენ... აი ის გოგონები, „ძალიან ცუდად ვარ“ რო ასტატუსებენ და რომ კითხავ რატომო, არ მინდა ამაზე ლაპარაკიო, რომ გეუბნებიან“ აი ის გოგონები, ისეთ წიგნებზე რომ გიჟდებიან, რომელიც წაკითხულიც კი არ აქვთ... აი ის გოგონები, რომლებიც მშობლებს მშობელივით რომ ელაპარაკებიან და მეზობელივით რომ უყვართ...

სხვის გახმაურებულ „აგს“ საშინელი სისწრაფით რომ ავრცელებენ, იმის გათვლით, მისი იგივე საქციელის გაბზრებისას, ძალიან რომ არ გაბანძვდნენ... პირველი ცოცხალი ინტელიგენტი პირველი სემესტრის გამოცდაზე რომ აქვთ ნაწახი და დაქალის მამის ოფისის დამლაგებელს კლეოპატრას ტონით რომ ელაპარაკებიან...

ყველა ქართველი ფეხბურთელის და კალათბურთელის ხელფასი და ოჯახური მდგომარეობა რომ იცინა და თეატრალურ პრემიერებზეც მათ სანახავად რომ დადიან...

ქართულად ისე წერენ, როგორც ლაპარაკობენ (მიხევედრი მისგან) და სწორი რომ ჰგონიათ...

ფაშუქის ავტორგრაფები რომ აქვთ და ანატოლ ფრანსზე (1921 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში) მხოლოდ ის იცინა, რომ მამაკაცია. აი ეს არის ის, რასაც 21-ე საუკუნე და ამ საუკუნის მკვიდრთ, კონგრეტულად „ახალგაზრდობა“ ჰქვიათ.

ამოკრება

ბიბა ბაბრიძე

© ალიან-ჩალიანი

განაცხადი სამხედრო სპეციალურ სამსახურში სამხედრო სამსახურისათვის

სტუდენტობის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში, პრივილეგიები მიენიჭებათ. აღნიშნულს საქართველოს მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს.

დადგენილების თანახმად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტით უზრუნველყოფილი იქნებიან სტუდენტები, რომლებმაც 2012 და 2013 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახეს, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ და ვერ მოიპოვეს, ან ნაწილობრივ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი და საკუთარი სურვილით, არა უგვიანეს 2014 წლის მოქალაქეთა საგაზაფხულო განცხადებით აღიღეს ვალდებულება, თორმეტი თვის ვადით გაიარონ სამხედრო სავალდებულო სამსახური თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში.

მეზღაურები ერთი თვის ხელფასს მიიღებენ და საპროპაგანდო დაგეგმვაში

სახელმწიფო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა მამუკა ახალაძემ თურქეთის ქალაქ ისკანდერუნში მყოფი ქართველ მეზღვაურების შესახებ განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია და მეზღვაურები ერთი თვის ხელფასს მიიღებენ. მისივე განმარტებით, გემის გაყიდვის შემდეგ თურქი დამსაქმებელი მეზღვაურებს დარჩენილ დავალიანებასაც აუნაზღაურებს.

მისივე განმარტებით, რუმინელი გემთმფლობელი გაკოტრდა, რის შემდეგაც მეზღვაურები აფიორის მსხვერპლი გახდნენ.

მეზღვაურებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ მათ სამსახური ნახეს თურქი დამსაქმებლის მეშვეობით, რომელთანაც ქართულმა წარმომადგენლობამ დააკავშირა. ზოგადად, სიტუაცია იყო ნორმალური, მენეჯმენტ კომპანია კარგი ჩანდა, თუმცა, გემზე ასვლის შემდეგ მეზღვაურები აღმოჩნდნენ სულ სხვა სიტუაციაში. გემი ამოშლილი იყო დიდი ბრიტანეთის გემების რეესტრიდან, გემთმფლობელიც გაკოტრებული იყო, მეზღვაურები კი ამის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი. საბედნიეროდ თურქმა დამსაქმებელმა ითავა პრობლემის მოგვარება და გემის გაყიდვასაც ის აპირებს, – აღნიშნა მამუკა ახალაძემ.

მისივე თქმით, მეზღვაურები საქართველოში ორ დღეში დაბრუნდებიან. ისკანდერუნში მყოფი ქართველი მეზღვაურები საქართველოს ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვდნენ.

ანაკლიაში საერთაშორისო აეროპორტი გეგმვა

ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

– ანაკლიაში, ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ფარგლებში, აეროპორტის მშენებლობაც იგეგმება. მას ექნება განსაკუთრებული შესაძლებლობები სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით. საერთაშორისო აეროპორტის აშენება პორტთან ახლოს არის დაგეგმილი. ანაკლიის ღრმანწყლოვანი ნავსადგურისა და აეროპორტის მშენებლობა ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, საქართველოს ტერიტორიის გავლით ტვირთთა კადის ზრდასა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სერიოზულ განვითარებას. ანაკლიაში პორტისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სამშენებლო კვლევებს საერთაშორისო საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიები აწარმოებენ, – ნათქვამია განცხადებაში.

მინიკოსი



ბიქნიძის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან მგალობლიშვილი** 1985 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმში. იგი მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დარგში 30-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიის ავტორია. გამოქვეყნებულ შრომათა შორის აღსანიშნავია მონოგრაფია – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამი პრეზიდენტი. შტრისები ნ.მუსხელიშვილის, ი. ვეკუას და ე.ხარაძის პორტრეტებისათვის“ და წიგნი – „შესანიშნავი შედეგები“, რომლის გმირები არიან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის პირველი ქართველი კურსდამთავრებულები, აკადემიკოსები – ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, გიორგი წერეთელი, ვიქტორ კუპრაძე, ბენედიქტე ბალაგაძე, შოთა ძიბიგური და სერგი ჯიქია.

2000 წელს ლ.მგალობლიშვილს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში შესრულებულ შრომათა ციკლისთვის.

ყველა ჩვენგანისთვის, უწინარესად კი, თვითონ ქვეყნისთვის და ჩვენი მეცნიერებისთვის დიდად სამწუხაროდ ლევან მგალობლიშვილი 2013 წლის ოქტომბერში მოულოდნელად გარდაიცვალა.

ეს წერილი, რომელსაც დღეს ვთავაზობთ მკითხველს, ჯერ კიდევ ლევანის სიცოცხლეში დაიწერა მისი ერთ-ერთი ბოლო წიგნის გამოცემის გამო, მაგრამ რატომღაც მაშინ ვერ მოხერხდა ამ წერილის ამ სახით გამოქვეყნება, რადგან აპრილი მისი დაბადების თვეა (იგი 80 წლის გახდებოდა 6 აპრილს). მისი სახელი კი ამიერიდან განუყოფელია ქართული აკადემიის ისტორიისგან, გადავწყვიტეთ, სწორედ ამიგომ მის დაბადების დღეს მივუძღვნათ ეს პუბლიკაცია.

არბ, ქართული მეცნიერების ავისმნდომელთ ნამდვილად ვერ დავარქმევ, მაგრამ ჩვენი ქართული აკადემიის ბოლო დროს არცთუ იშვიათად აუგად მსხენებელთ ვერც კეთილმოსურნე ხალხად წარმოვიდგენ, რადგან ამ ადამიანებს ან განგებ არ უნდათ იმ ფრიად დიდი საქმეების დანახვა (თანაც მეცნიერების განვითარებისთვის ამ ფრიად არახელსაყრელ დროს), რა საქმეებსაც ჩვენი ეროვნული აკადემია ახორციელებს, ან საგანი არ ესმით, ან უბრალოდ პეროსტრატეს უინი ალაპარაკებო...

უკეთეს ვისმე ჩემი ნათქვამი თუნდაც რამდენადმე გარდამეტებულად მოეჩვენოს, ჩემ გასამტყუნებლად ყველას ვურჩევ, მოიძიონ პროფესორ ლევან მგალობლიშვილის აგერ სულ ახლახან გამოცემული, როგორც იტყვიან, ნარუქი წიგნი – „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, რომლის გამოცემაშიც განეული დიდ დახმარებისთვის ავტორი გულწრფელ მადლსა სწირავს რუსეთის გამომცემლობა „ნაუჩტეკლიტიზდატის“ გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრს (ჩვენს აკადემიას სულ 73 უცხოელი წევრი ჰყავს), აკადემიკოს თამაზ სამხარაძეს (ჩვენს ყურადღებიან მკითხველს უთუოდ ახსოვს აკადემიკოს თამაზ სამხარაძეზე 2010 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის“ ვრცელი პუბლიკაცია – „უცხოელი ცნობილი თანამემამულე, ანუ ჩვენი დროის გმირი“).

პროფესორი ლევან მგალობლიშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორია. ცნობილი მკვლევარია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დარგში, მაგრამ ამ თვისი ახალი შრომით მან სრულიად ახალი სიტყვა თქვა – ფაქტობრივად ქართული მეცნიერების ისტორიის, მეტ-ნაკლებად სრული ისტორიის, შექმნის მოწმენი გაგებადა. ამ ისტორიის შექმნა კი, დღეს უკვე ცნობილია ყველასთვის, რომ განკუთვნილი იყო ჩვენი ეროვნული აკადემიის 70-ე წლისთავისთვის, რაც ფართოდ უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე გადაწყვეტილი საქმე რაღაც უხილავმა ძალებმა სამარცხვინოდ ჩაშალეს... ამჯერად მეცნიერებისთვის არა გვცალაო.

როგორც წიგნის რედაქტორი აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი სამართლიანად წერს, მონოგრაფიაში ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების, საარქივო და ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შესანიშნავი დიდა გაანალიზებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განვითარების ძირითადი ეტაპები, 70 წლის განმავლობაში განვლილი გზა. მონოგრაფიაში მიუხერხებლად არის შეფასებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების როლი საქართველოში მეცნიერების განვითარებაში, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის ცხოვრებაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის შესწავლას და ამ ფონის გავლენას მეცნიერების განვითარებაზე.

მონოგრაფია გამოირჩევა პრობლემებისადმი ფართო და ღრმა მიდგომით, რამაც ავტორს საქართველოში მეცნიერების ფორმირებისა და განვითარების ერთ-ანი სურათის შექმნის საშუალება მისცა. მოდი, ერთად გადავავლოთ თვალი ამ

უაღრესად შთამბეჭდავ სურათს, ვნახოთ, როგორ ვითარდებოდა ქართული მეცნიერება ამ 70 წლის მთელ სიგრძეზე. მოკლედ აღვსუსხოთ, რა შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა, რით გაამდიდრეს და რა ძალა შემატეს საერთო საკაცობრიო წინსვლას. ამას, უწინარესად, იმათ გასაგონად ვწერ, ვინც, როგორც უკვე ვთქვი, ვინრო თვალთ უყურებს ჩვენს ეროვნულ აკადემიას, რომელიც მართლმოდენ წინათაობების ღირსეულ წარმომადგენელთა საიუბილეო თარიღთა აღმნიშვნელ სამეცნიერო დაწესებულებად წარმოუდგენია, არადა, წინა თაობის საშვილიშვილო ღვაწლის დაფასებასთან ერთად, რაც უთუოდ აუცილებელია, იქ იმ ახალ საშვილიშვილო ღვაწლთან გავაქვს საქმე, რასაც ამჟამად ქმნის ქართული ინტელექტი, ანუ რასაც ქმნიან, როგორც ერთი ჩვენი წინაპარი იტყობა, კაცნი სწავლითა უფსკრულნი...

აი, თვითონ სურათიც...


აქ, ჩვენს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილია ცნობილი სამეცნიერო სკოლები მათემატიკასა და მექანიკაში, ფიზიკასა და გეოლოგიაში, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში და მეცნიერების თითქმის ყველა სხვა დანარჩენ დარგში.

ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებულმა ფრიად მნიშვნელოვანმა მიღწევებმა მსოფლიოში გაუთქვეს სახელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, სადაც შესრულებულ სამუშაოთა ავტორები სხვადასხვა დროს ლენინური და საკავშირო სახელმწიფო პრემიების ლაურეატები გახდნენ, რაც ან გარდასულ ჟამს ყველაზე მაღალ შეფასებად ითვლებოდა, ყველა ლაურეატი ქართველი მეცნიერის გვარს არა კი არა, ვერ ჩამოვთვლი, რამეთუ ძალიან გრძელი სია გამოვიდოდა (წიგნში ეს ყველაფერი ზუსტად აღწუსხულია).

მსოფლიო აღიარება მოიპოვა ქართველ მათემატიკოსთა და მექანიკოსთა სკოლის ფუნდამენტურმა ნაშრომებმა. საყოველთაოდ ცნობილია ამ სკოლის წარმომადგენელთა მეცნიერული კვლევის შედეგები ისეთ მიმართულებათა მიხედვით, როგორიც არის სინგულარულ-ინტეგრალური განტოლებები, დრეკადობის მათემატიკური თეორია და გარსთა თეორია, განზოგადებული ანალიზური ფუნქციები, ვარიაციული გათვლებისა და ოპტიმალური პროცესების თეორია, მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანები... ეს სიაც ძალზე გრძელია.

ქართველმა ფიზიკოსებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს კოსმოსური სხივებისა

სამოსდაათფლიანი გზა ერთ წიგნად



და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში, მაღალი ენერგიების ფიზიკაში, დაბალი ტემპერატურის ფიზიკაში, მყარი სხეულის ფიზიკასა და გამოყენებით ფიზიკაში... მაღალი შეფასება სცდა წილად ისეთ სამუშაოებს, როგორიც ელემენტარულ ნაწილაკთა და ატომური ბირთვების კვარკულ სტრუქტურაში დინამიკურ კანონზომიერებათა დადგენა, მაღალი ენერგიების ნაწილაკთა რეგისტრაციის ახალი მეთოდის – სტრიმერული კამერის შექმნა.

ფართოდ სახელგანსმენილია ქართველი გეოლოგების მიერ ტექტონიკაში, სტრატოგრაფიაში, პალეოგეოლოგიაში, პეტროლოგიაში და სასარგებლო წარმოების გეოლოგიაში შესრულებული გამოკვლევები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სასარგებლო წიაღისეულის ფორმირებაში ვულკანიზმის როლისა და საქართველოს მიოცენამდელი ეოზოური ვულკანიზმის შესწავლა.

საყოველთაოდაა აღიარებული ქართველ ფიზიოლოგთა სკოლის მიერ დადგენილი ცენტრალური ნერვული და კუნთოვანი სისტემების მოქმედების ძირითადი კანონზომიერებანი, მესხიერების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძველების დამუშავების, ძილ-ღვიძილის ციკლის

რეგულაციის და ტვინის ფუნქციური მდგომარეობის ნეირობიოლოგიური საფუძვლების, ადამიანის ნეიროპათოლოგიური სინდრომებისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევების პრინციპულად ახალი მოდელებისა და ფიზიოლოგიის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევის შედეგები.

ქართველ ფსიქოლოგთა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებმა, უწინარესად, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიამ და იმის მიერვე აღმოჩენილმა განწყობის ახალმა ილუზიამ, რომელმაც მეცნიერებაში „უზნაძის ფენომენის“ სახელწოდება მიიღო, აგრეთვე ერთიანი სუბიექტის საქმიანობის არსის პრობლემის გადაწყვეტამ განწყობის ცნების საფუძველზე – მსოფლიო აღიარება მოუპოვა ქართველ ფსიქოლოგთა სკოლას.

საგულისხმო შედეგები აქვთ მიღებული ქართველ მეცნიერებს ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, მეტალურგიის დარგში. უმაღლესად არის შეფასებული ისეთი სამუშაოები, როგორიცაა რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანაში აგრეგატ „400“-ის ავტომატიზაცია და მექანიზაცია, ელექტროლიზური მანგანუმის მიღების მეთოდის შემუშავება და ამ მეთოდის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დანერგვა...

მსოფლიოში კარგად იცნობენ ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძიების შედეგებს სამშენებლო მექანიკისა და სეისმოგეოლოგიის, სამთო მექანიკისა და მანქანათა მექანიკის, მართვის სისტემების და კიბერნეტიკის და ტექნიკის მეცნიერებათა სხვა დარგებში.

საქართველოში მძლავრად განვითარდა ბიოლოგიის ტრადიციული და თანამედროვე დისციპლინები – ბოტანიკა, ზოოლოგია, პალეობიოლოგია, ექსპერიმენტული მორფოლოგია, ბიოტექნოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა... დღეს მთელ მსოფლიოში ეწევა ანგარიში ფუნდამენტურ ნაშრომს – „ეოლოგიური პალეონტოლოგიის ისტორია დარგინიდან დღევანდელ დღემდე“.

ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა უშრეტეი წყარო გახდა პუბლიკარულ მეცნიერებათა მრავალი მიმართულების განვითარებისთვის.

ფუძემდებლური სამუშაოებია შესრულებული ჩვენი ხალხის წარმოშობისა და ისტორიის, ქართული და კავკასიური ცივილიზაციის ისტორიის, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური და სხვა პრობლემების კვლევის დარგში. ჩვენი ისტორიკოსების მიერ შექმნილია ფუძემდებ-

ლური ნაშრომები — „ურარტული სოლი-სებური წარწერები“, „ნაირი ურარტუ“, „საქართველოს ისტორია ძველი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე“. არც ეს სიაა მოკლე.

ქართველ მეცნიერებს მსოფლიო მნიშვნელობის პალეონტოლოგიური აღმოჩენები აქვთ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, აქვე უნდა აღინიშნოს სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური დამწერლობის გაშიფრვა, ტროა-უდანოს სამეცნიერო არქეოლოგიური პროექტის დაფუძნება, იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის მიზნით ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევები. მსოფლიოში ბევრი მეცნიერის სამაგიდო წიგნად არის ქცეული ჩვენი ლინგვისტების ფუნდამენტური ნაშრომი — „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“.

საერთო აღიარება არ აკლია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებს ქართული ლიტერატურის, არქეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებში... ასე იყო დღემდე. სახელმწიფო, რომელსაც კარგად ესმოდა მეცნიერების როლი ქვეყნის წინსვლაში და განვითარების საქმეში, მუდამ მხარში ედგა ეროვნულ აკადემიას...

ამჟამად აკადემიის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ეროვნული და უცხოური გრანტების მოპოვება გახდა. აკადემიაში კვლევა-ძიების დაფინანსების ამ ფორმამ საკმაოდ ფართო გავრცელება მიიღო. აკადემიის წევრები მოპოვებული უცხოური გრანტების დაფინანსებით აწარმოებენ კვლევა-ძიებას მათემატიკასა და ფიზიკაში, ბოტანიკასა და ქიმიაში, ბიოტექნოლოგიასა და ცოდნის სხვა დარგებში. ამასთანავე, მეცნიერული კვლევის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით აკადემიის წევრები ჩართული არიან უცხოურ პროგრამებში და ასრულებენ საკვლევსაძიებო სამუშაოებს.

მხოლოდ 2010 წელს აკადემიის წევრთა მიერ გამოიცა 55 წიგნი, მათ შორის 14 — საზღვარგარეთ. ამავე წელს გამოქვეყნდა 412 მეცნიერული პუბლიკაცია, აქედან 159 გამოცემული იყო მაღალი რეიტინგის მქონე საზღვარგარეთის პერიოდულ ლიტერატურაში. აკადემიის წევრებმა წლის განმავლობაში მოიპოვეს 45 გრანტი, აქედან 20 — საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრები აფინანსებდნენ.

და თუ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, მეცნიერული თვალსაზრისით, კვლავ მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ეს რა თქმა უნდა, მსოფლიოში აღიარებული ზემოაღნიშნული ჩვენი სამეცნიერო სკოლების უდავო დამსახურებაა.

როცა ამ დიდ ქართულ სამეცნიერო პოტენციალზე ვფიქრობ და არც ქართული ინტელექტის პოლიტიკური გაქანება მავინყებს თავს, ასე მგონია, რომ ქართველებს მსოფლიო ისტორიაში მეოცე საუკუნეზე უფრო დიდი და მრავალმნიშვნელოვანი საუკუნე არ გვქონია, მართალია, ძალიან რთული, მაგრამ, ბევრი გაგებით, მრავალმნიშვნელოვანი.

ახლახან რუსი ნობელიანტი ფიზიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ჟორეს ალფიოროვი ერთ-ერთ ინტერვიუში კორესპონდენტის კითხვის პასუხად წერდა: როცა 2000 წელს ნობელის პრემია მივიღე, კომპანია ბი-ბი-სი-მ ახალ ლაურეატთა მრგვალ მაგიდაზე მიმიწვიაო. თორმეტნი ვიყავითო: სამი ფიზიკოსი, სამი ქიმიკოსი, ორი ეკონომისტი, სამი ფიზიოლოგი და ერთი მწერალიო. ჩემ გვერდით მარცხნივ ეკონომიკის ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი ჯეინს სემპანი იჯდაო და წამყვანის ერთ-ერთ შეკითხვას აგრე უპასუხაო: „XX საუკუნის მეორე ნახევარში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეჯიბრი განსაზღვრავდაო“. აი, ამ მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელ შეჯიბრში რუსი ნობელიანტი ქართველ მეცნიერთა წვლილსაც ხედავს...

ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მრავალმხმეტველ მნიშვნელობას იძენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები, ავტორის მიერ წიგნისთვის ეპიგრაფად წამძღვარებული: „მეცნიერებათა აკადემია ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, არის უდიდესი საუნჯე, ინტელექტუალური საუნჯე საქართველოსი“...

საუნჯეს კი, მოგეხსენებათ, დაცვა და გაფრთხილება უნდა. პროფესორ ლევან მაგალითიშვილის ეს ფრაზა დასაყუარადღებო მონოგრაფია, უწინარესად, სწორედ ამას ისახავს მიზნად. მაგრამ ვაი, რომ არც ერთი რომელსამე მონოგრაფიას, რა მაღალი ხარისხითაც არ უნდა იყოს დანერგული, და არც მეცნიერთა მცირე ჯგუფს, არ ძალუძს ეროვნული საუნჯის გადარჩენა, უკეთუ ძლიერნი ამას სოფლიანი ავის მომასწავებელ ღონისძიებებს ამ საუნჯის მიმართ კეთილისმყოფელ რეფორმებს არქმევდნ მავანთა და მავანთა თვალის ასახვევად.

არადა ქვეყანას, რომლის უღელშიც პოლიტიკასთან ერთად მეცნიერებაც არ აბია, მუდმივად სხვისი ხელ შემეყურობა უნერია. მით უმეტეს, თუ ეს პოლიტიკაც სხვათაგან იმართება ამავე ქვეყნის ტყეში მოჭრილი სახრით.

ბურაბ გოგიაშვილი

P. S. უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული რომ ვიყო, წერილის ბოლოში ერთი ჩემი მეგობარი სწავლულის აზრს მოვიყვან. გვარს არ დაგასახელებ, რადგან, ალბათ, ამ აზრისაა დღეს ყველა ქართველი მეცნიერი, ვისაც კი ქართული მეცნიერების სვალინდელი ბედი აფიქრებს:

— სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის ჩამორთმევამ (ასეთი სტატუსი 2006 წელს მიენიჭათ) და უმაღლეს სასწავლებლებთან მიერთებამ, ამ ინსტიტუტების ისედაც მწირი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დაკნინება გამოიწვია, — მეუბნება ჩემი ზემოსსენებული მეგობარი სწავლული.

სამწუხაროდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების უმრავლესობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ნაწილი, ფაქტობრივად, აღარ მოქმედებს, თანაც ის ინსტიტუტები, რომლებიც ეროვნულ პრობლემათიკაზე მუშაობდნენ.

შეცდომაა დაშვებული იმ გაგებითაც, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ახლა უკვე არც ერთი ინსტიტუტი არ არის, ფუნდამენტური მეცნიერების პრობლემებს რომ ამუშავებდეს.

აკადემიის სისტემიდან ყველა ინსტიტუტის ერთი ხელის მოსმით გამოყვანა, რა თქმა უნდა, ძვირად დაუჯდება როგორც სამეცნიერო საზოგადოებას, ისე მთლიანად ჩვენს ქვეყანას.

შექმნილ ვითარებაში, როცა რეალური საფრთხე ემუქრება ჩვენში მეცნიერებას (განვითარებაზე აღარაფერს ვამბობთ), რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების დონეზე და მრავალ სამეცნიერო დარგში თვითონვე განსაზღვრავდა ამ დონეს, საჭიროა სასწრაფო მიშველება, ანუ ფინანსურად ხელის აშვობა.

უწინარესად, ქვეყნის ახალმა მთავრობამ, მეცნიერებათა აკადემიის ასევე ახალი ხელმძღვანელობის მონაწილეობით, უნდა დასახოს კონკრეტული პროგრამა, რაც ამჟამინდელი ჩინიდან გამოიყვანს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობას, რომელთაც ჯერ კიდევ, ძირითადად, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მეცნიერული პოტენციალი და რამდენადმე მატერიალური ბაზაც.

სამთავრობო დონეზე უნდა გადამწყდეს აგრეთვე აკადემიაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მეტად მტიკინული პრობლემა, რომლის მოგვარება, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ქართული მეცნიერების შემდგომ განვითარებას. შესაბამისი დონის ახალგაზრდა მეცნიერული კადრები, საბედნიეროდ, ქვეყანაში ჯერჯერობით არიან, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრს, უკვე ქვეყნიდან წასულთა მსგავსად, თვალის უცხოეთისკენ უჭირავს.

არის კიდევ სხვა საჭირობო საკითხებიც, რომელთა გადამწყვეტისთვის კვლავ საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა და დახმარება, რათა არა მარტო აღვედგინოთ ქართულ მეცნიერებას თავისი ოდინდელი სახელი, არამედ ახალი ძალაც შევმატოთ. თანაც, სხვა არა იყოს, რა, უმეცნიერეო საქართველო, ალბათ, იმ არაგონიერ კაცს დაემსგავსება, რომელმაც ვაითუ, ვერცრა ძნელი საქმე ვეღარ გამოაგოს... არადა, სომ გახსოვთ რუსთაველის შეგონება: ხაშს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოსო... აი, ამ ძნელი საქმის წინაშე აღმოვჩნდით დღეს... სადა ხართ, გონიერო კაცებო?!

ბ. ბ.

კოოპერაცია

სენას და მკას ისევ ერთობლივი კალაპით სვოხს

სამამშულო სოფლის მეურნეობის საგალალო მდგომარეობა სხვა ქვეყნებთან შედარებითაც ჩანს, რაც პოსტსაბჭოთა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სასოფლო-სამეურნეო საქონლის პროცენტულ წილში აისახება. შესაბამის მონაცემებს კი მსოფლიო ბანკი აქვეყნებს. სხვებს თავი რომ დავანებოთ, საკმარისია ჩვენი მეზობელი სომხეთის მაგალითის მოყვანა, სადაც ეს წილი დაახლოებით 20 პროცენტია, ჩვენში კი 9 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. თანაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და, შესაბამისად, თუ სამუშაო იშვიათ, იქვეა დასაქმებული, იმავე სომხეთში კი ეს მაჩვენებელი 40 პროცენტზე ცოტათი მეტია. ყოველივე ამის მიზმი საბარტომილუს სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობაა, რომლის გადამწყვეტის ერთ-ერთ გზად მდგომარეობს ევროპის ექსპერტების დახმარება.

კოოპერირების შემოღების ასუცილებლობაზე მსჯელობისას, სპეციალისტები ერთ-ერთ უწინარეს არგუმენტად წვრილ მეურნეობებთან შედარებით საშუალო სიდიდის კოოპერატივების გაცილებით უფრო მაღალ რენტაბელობას უსვამენ ხაზს. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების მოპოვების ფაქტორი, რასაც მანქანა-დანადგარების, შხამქიმიკატებისა და სასუქების გამოყენების სიადვილე და, შესაბამისად, პროდუქტიულობის ზრდა ემატება. გარდა ამისა, კოოპერირება მოსახერხებელია აგრეთვე ჭირნახულის დასაწყობების, ტრანსპორტირებისა და, სულაც, ბაზარზე გატანის თვალსაზრისითაც.

საქართველოში დღესდღეობით საკმაოდ ბევრი კოოპერატივია, წინა წლებშიც მრავლად იყო, თუმცა, მათი უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, ხშირად ფორმალური ხასიათისა იყო და პრაქტიკულად არ მოქმედებდა. ქვეყანაში კოოპერაციის პროცესის ფაქტობრივად ასალორძინებლად, წლეულს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო შეიქმნა, რომლის მთავარი დანიშნულება საქმიანობის მონიტორინგია, მუშაობის ხელშეწყობა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, აგრეთვე აღნიშნული პროფილის იურიდიული პირთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, მომავალი სამი წლის განმავლობაში, სადღეისოდ რეგისტრირებული დაახლოებით ორი ასეული კოოპერატივისთვის შესაბამისი გრანტები გამოიყოფა. ეს მეტად მნიშვნელოვანი დახმარებაა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის რაიონების განვითარების სპეციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, რაც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და, როგორც საერთაშორისო ექსპერტები აცხადებენ, გარკვეული წარმატებებიც უკვე მიღწეულია.

უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად საქართველოში სოფლის მეურნეობის სტრატეგიის სფეროში 54 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი შეიქმნა, სადაც 250 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ფერმერებს

შესაბამის კონსულტაციებს უწევს. რამდენიმე ხნის წინათ ფერმერთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად შესაბამისი ტრენინგები დაიწყო, რის საბოლოო მიზანია კონკურენტუნარიანი, იაფიანი პროდუქციის გამოშვება, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით და შემდგომ მისი წარმატებით რეალიზება.

ჩვენი აზრით, საინტერესოა ის გარემოება, რომ, ექსპერტთა რჩევით, კოოპერატორებს ურჩევნიათ ბრენდებზე და არა მრავალპროფილურობაზე იყვნენ ორიენტირებული, თუმცა კი, ცხადია, საკუთარი მოღვაწეობის პრიორიტეტსა და პროფილს თავად კოოპერატორები განსაზღვრავენ. საქმე ისაა, რომ ერთ კონკრეტულ დარგზე ძალისხმევის გამახვილება საქმიანობასაც უფრო წაადგება და კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამებში ჩართვასაც გაცილებით გააადვილებს. კოოპერატივების გარკვეული სისტემური ორიენტაცია, თავის მხრივ, ახლად შექმნილ სააგენტოსაც გაუადვილებს საქმიანობას რეგიონებსა და ცალკეულ დარგებში რეალურად შექმნილი მდგომარეობის გარკვევაში.

ბუნებრივია, რომ ახლახან აღორძინების გზაზე დამდგარი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მთელი რიგი სერიოზული გადასატყრელი პრობლემის წინაშე დგას, რომელთა შორის ცალკე აღსანიშნავია მიწის საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, უადრესად გაჭიანურებული მიწების რეგისტრაციას უკავშირდება, რის ფორმაც კი ჯერჯერობით ბოლომდე დადგენილი არ არის. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო ბევრი კოოპერატივი ვერ დარეგისტრირდება აქედან გამომდინარე შედეგით — მისი ყველა პოტენციური წევრი ისევ საკუთარი ძალისა და შესაძლებლობის ანაზარადარჩება. არის კიდევ მთელი რიგი იურიდიული, მრავალი სხვა, გნებავთ, პროფესიული განათლების საკითხი, თუმცა კი, ამ უკანასკნელის გადასაწყვეტად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

ბოლოს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება. იმის გარდა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ფერმერთათვის მრავალმხრივ ხელსაყრელი მწარმეობის ფორმაა, რის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არის კიდევ ერთი განსაკუთრებული მომენტი, რაც ქვეყნის ევროკავშირის სივრცეში ინტეგრირების პროცესის გააქტიურებას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ახლო მომავალში თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფართობის მატარებელი გაჭირვების პროცესი რეალურად უნდა დაიწყო. ეს, თავისთავად, მასში მონაწილე ქვეყნებში, მათ შორის, იმედია, საქართველოშიც, ევროკავშირის ზონაში მიღებული წესებისა და სტანდარტების დამკვიდრებას ითვალისწინებს. უამისოდ ევროინტეგრირების პროცესი უსაშველოდ გაიწელება. სოფლის მეურნეობის სფეროში ეს სტანდარტები, სხვათა და სხვათა გარდა, ასევე პროდუქციის უვნებლობის, ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ნორმებს ითვალისწინებს, რომელთა ერთობლივად დანერგვა ფერმერებს საქმეს გაცილებით გაუადვილებს.

ოთარ ტურაპელიძე



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნატოსა და რუსეთს შორის ყველა სახის პრაქტიკული სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს. ამის თაობაზე ნატო-უკრაინის კომისიის დასრულების შემდეგ გაკეთებულ განცხადებაშია საუბარი. ამასთან, ალიანსი გააგრძელებს მოსკოვთან პოლიტიკურ დიალოგს ნატო-რუსეთის საბჭოს ფარგლებში, ოღონდ მხოლოდ ელჩების დონეზე, მინისტრების ივნისის შეხვედრაზე კი რუსეთთან ურთიერთობა კიდევ ერთხელ შეფასდება.

„რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ საფრთხის ქვეშ დააყენა ჩვენი ხედვა ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის თაობაზე. მან მთლიანად შეცვალა ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტი და პირდაპირ ნატოს საზღვრებს დაემუქრა არასტაბილურობით“, – განაცხადა 1 აპრილს ნატოს გენერალურმა

ნატომ რუსეთთან ყველანაირი სამხედრო თანამშრომლობა შეწყვიტა

მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ალიანსის შტაბბინაში, ბრიუსელში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დაწყებამდე.

სამშაბათს გაიმართა ნატო-უკრაინის კომისიის სხდომა, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი დეშჩიკას მონაწილეობით.

თითქმის ორსაათიანი განხილვის შემდეგ გამოქვეყნდა ნატო-უკრაინის კომისიის ერთობლივი განცხადება, რომელშიც დაგმოიბლია რუსეთის უკანონო სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში და რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტი.

ნატოს მინისტრებმა გაიმეორეს, რომ არ აღიარებენ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და ერთობლივად შეეცდებიან კრიზისიდან ისეთი პოლიტიკური და დიპლომატიური გამოსავლის მოძებნას, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობასა და უკრაინის საერთაშორისო აღიარებული საზღვრების პატივისცემას დაეფუძნება.

კერძოდ, ნატო მოუწოდებს რუსეთს, საკუთარი სამხედრო ძალები ყირიმში კრიზისის დაწყების დონემდე შეამციროს და დააბრუნოს ისინი საკუთარ ბაზებზე; შეამციროს სამხედრო მოქმედებები უკრაინის საზღვრებზე; გააუქმოს ყირიმის უკანონო და არალეგიტიმური ანექ-

სია; თავი შეიკავოს უკრაინის საქმეებში შემდგომი ჩარევისაგან; რუსეთმა პატივი უნდა სცეს უკრაინის მოსახლეობის, მათ შორის, ყირიმელი თათრების უფლებებს, დაემორჩილოს საერთაშორისო კანონმდებლობას და შეასრულოს მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

უკრაინის წინაშე აღებული მტკიცე სამოქმედო ვალდებულებების ხაზგასმელად, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ კონკრეტულ ზომებზე, რაც გააძლიერებს უკრაინის შესაძლებლობას გარანტირებულიად უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება.

კერძოდ, ნატო-უკრაინის კომისიამ მხარი დაუჭირა უკრაინაში ეუთოს სადამკვირვებლო მისიის მანდატის ამოქმედებას, ნატო და უკრაინა გააძლიერებენ თანამშრომლობას და თავდაცვის რეფორმებს შესაძლებლობათა შექმნისა და გაფართოების პროგრამების გზით. კონკრეტული საუბარი არ არის კიევისათვის სამხედრო დახმარებაზე, განცხადებაში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ ალიანსი დამატებითი ექსპერტებით გააძლიერებს ნატოს სამოქმედო ოფისს კიევში. ნატოს მინისტრებმა შეაქეს საშიში პროვოკაციის პირისპირ აღმოჩენილი უკრაინის შეიარაღებული ძალები მათ მიერ გამოჩენილი სიმამაცის, დისციპლინისა და თავშეკავებისათვის. ამასთან, ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლებს უკრაინის გარდამავალ მთავრობასთან, პარლამენტთან და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორთან შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის გაძლიერების მიზნით.

კოზა ლიკლიპაძე, რადიო „თავისუფლება“

დედაშინის ზურგზე



კიშ ჩან იწმას სიტუაციას კორაის ნახვარკაშეაქუზა საშვიო უფოდა ბარალი დასალო სამხრეთ კორეას ჩრდილოეთის ტერიტორიაზე შეჭრის რეპრეზენტაციაში

ჩრდილოეთი კორეის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ვერ ამჩნევენ „სამშვიდობო შესტებს ფუნქციის მხრიდან“, ეზადებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჭრისთვის. სამხრეთი კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ დროს ბრალს სდებენ კიშ ჩან იწმას შვიონაჟში უბილოტო თვითმფრინავების დახმარებით.

* * *
ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონპროექტი უკრაინის სასარგებლოდ ერთი მილიარდი დოლარის კრედიტისა და სანაცვინის შესახებ რუსეთის წინააღმდეგ



კანონპროექტის ფარგლებში დამატებით იგეგმება 50 მილიონი დოლარის გამოყოფა უკრაინაში „დემოკრატიული მართვლობის სრულყოფისთვის“ და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებისთვის. კიდევ 100 მილიონი დაინარჯება ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის გაფართოებაზე მათს ჩრდილო-აღმოსავლურ პარტნიორებთან უშიშროების სფეროში.

* * *
ნატომ გადაწყვიტა, გაზარდოს უკრაინის თავდაცვისუნარიანობა. იმ პაზაჟინან სამხედრო ინსტრუქტორებს. ამროკაჟში მომდინარე სახედროება, თვითმფრინავებისა და სომალდები ამერიკის შეერთებული შტატებიდან



ნატომ მთლიანად შეაჩერა რუსეთთან სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომლობა და მიიღო ზომები უკრაინის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების შესახებ, გაზავა იქ მობილური განვრთნილი ჯგუფები, ექსპერტები და სამხედრო-ტექნიკური დახმარება. ევროპაში ნატოს სამხედრო ბაზებზე მიმდინარეობს სამხედრო კონტინგენტის გაძლიერება.

* * *
კლიაირ მიწისქვეშაში შემდეგ ცუნამი თავს დაატყდა ჩილეს: არიან დაღუპულინი და დაზარალებულინი

ტალღების სიმაღლე ქვეყნის ჩრდილოეთ სანაპიროზე 2 მეტრს აღწერებს. წყარი ოკეანის ცენტრის მონაცემებით, ტალღებმა შეიძლება სერიოზული ნგრევები გამოიწვიოს. სულ ცოტა ხუთი კაცი დაიღუპა – მათი გარდაცვალება მოხდა როგორც გულის შეტევების, ისე შენობების ნგრევის შედეგად. კიდევ სამმა სერიოზული ჭრილობა მიიღო.



გიჟანს-ეკონომიკა

გვამს თუ არა ევროპის ბაზარზე გასატანი პროდუქტი?

რბს და როგორ შევიტანთ ევროპის ბაზარზე, ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც ქართველ ბიზნესმენებს ადარდებთ. ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების დადგენილ მოთხოვნებს. დღესდღეობით მზადდება კი ამ მოთხოვნებისა და ღირებულებით კონკურენტული პროდუქტი?

შესაბამის სფეროებში (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში) ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შედეგად, საქართველოში ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სისტემა შეიქმნება. ამით სურსათის კონტროლის მექანიზმი ადგილობრივ ბაზარზეც გაუმჯობესდება.

„შეთანხმების თანახმად, 28 სატარიფო საზოგადოება (ეს კი სრული სატარიფო ნუსხის 0,3%-ია) იმოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“ – ENTRY PRICE, ანუ იმპორტის ფიქსირებული ფასი. ეს ნიშნავს, რომ თუ საქართველოში შექმნილი პროდუქციის გასაყიდი ფასი (საინვოისო ფასი) ევროკავშირის დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორს ამ ფასითა სხვაობის დაფარვა მოუწევს, ხოლო თუ გასაყიდი ფასი ევროკავშირის „ფასის“ ტოლი ან მასზე მეტი იქნება, პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან სრულად გათავისუფლდება“, – აცხადებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე.

სხვათა შორის, საქართველოს ევროპის ბაზარზე ჰქონდა შეღავათები, რომელსაც თითქმის ვერ იყენებდა იმიტომ, რომ არსებობდა ფორმალური ბარიერები. ამის გა-

მოისობით, დაახლოებით, 7200 საქონლიდან მხოლოდ 30 გადიოდა და ისიც არასრული სახით.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელი რამაზ გერლიანი აღნიშნავს, რომ დღეს არსებული სახით ჩვენი პროდუქცია ევროპულ ბაზარზე ვერ შევა. არა იმიტომ, რომ არ გვიშვებენ, არამედ იმიტომ, რომ თავს ვერ დაიმკვიდრებს.



„პატარა ფულით ვერ ხერხდება იმ პროდუქციის გაკეთება, რაც საჭიროა. საფასო კონკურენციასაც კი ვერ სწევნ დღეს ჩვენი ბიზნესმენები. ამისთვის მნიშვნელოვანია ძირითადი რეფორმის გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უპირატეს მდგომარეობაში ვერ ვიქნებით“, – აცხადებს გერლიანი.

საფასო პოლიტიკაზე ამასვილებს ყურადღებას ბიზნესმენი თემურ ჭყონიაც. მისი თქმით, ვაჭრობაში მთავარია, გქონდეს პროდუქტი, რომლითაც დაინტერესებულია მეორე ქვეყანა. მნიშვნელობა არ აქვს ევროპა იქნება თუ აფრიკა. მთავა-

რია გქონდეს სერიოზული პროდუქტი.

„რადგან მთავრობამ რეგულაციები დააწესა ევროპასთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესმენებმა შექმნან პროდუქტი საქართველოში, რომელსაც ევროპაში გაიტანენ. 20 წელიწადია, საქართველოში არ შექმნილა ისეთი სერიოზული პროდუქტი, რომელიც შეიძლება ევროპის ბაზარზე შევიდეს და დამკვიდრდეს.“

მიზეზი არის ბიზნესის სიღრმისეული ცოდნის დეფიციტი და იმ პროექტების უცოდინრობა, რომელსაც ჩვენი ბიზნესმენები ასორციელებენ. ეს არის სწრაფი პროექტები, მორგებული მხოლოდ თავის თავზე, ოჯახის ბედნიერებაზე. ეს არის ძირითადი მიზეზი.

როდესაც სახელმწიფო რეგულაციებს აწესებს, ევროპის ქვეყნებთან უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ჩვენი ურთიერთობა, არამედ შიდა ბაზარზე არსებული რეგულაციები, რათა ჩვენი პროდუქტი იყოს იაფი. არსებობს არაჩვეულებრივი ფორმულა: ხარისხი, ფასი. ეს ფორმულა უნდა დაიცვან. მართლ რეგულაციები და ხარისხის საკმარისი არ არის.

მინერალური წყალი და ღვინო ევროპის ბაზარზე ძალიან იაფია და სწორად გაკვირვებულნიც კი ვარ, როგორ ახერხებენ ისინი ასეთი ფასების მიღებას. მაგალითად, თურქეთი რომ წყალს ყიდის ევროპის ბაზარზე, იმ ფასით აქ რომ შემოვიდეს, შეიძლება საქართველოში წყლის წარმოება გაჩერდეს. როგორ ხდება ეს არ ვიცი, ეს სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს“, – აცხადებს თემურ ჭყონია „კომერსანტთან“ საუბრისას.

გამა დაწვინა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ ლაბორატორიის საქმიანობის შესასწავლად 1990 წელს შექმნილი სამთავრობო კომისიის დასკვნით, ვ. ი. ლენინის სხეული შეიძლება უცვლელად შეინახოს კიდევ არაერთი ათეული წელი.

1992 წლიდან მავზოლეუმთან არსებული ლაბორატორია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდა და ეწოდებოდა ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური ცენტრი. 1993 წლიდან მეცნიერებს ფინანსურ შემწეობას უწევს „ლენინის მავზოლეუმის შენახვა საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია“ (1999 წლამდე – „დამოუკიდებელი საქველმოქმედო ფონდი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი“). ფონდის დებულებითი მიზანია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის შენახვა როგორც ისტორიული ძეგლის და მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრისა და ვ. ი. ლენინის სხეულის უვნებლობის უზრუნველყოფა.

ლაბორატორიის მუშაკებმა დაბალზამეს და სახალხო დათვალიერებისთვის გამოიტანეს საერთაშორისო კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს ლიდერების გიორგი დიმიტროვის (1949 წ. ბულგარეთი), მარშალ სორლიოგინ ჩიობალსანის (1952 წ. მონღოლეთი), იოსებ სტალინის (1953 წ. სსრკ), კლიმენტ ლოტვალდის (1953 წ. ჩეხოსლოვაკია), სო ში მინის (1969 წ. ვიეტნამი), აგოსტინიო ნეტოს (1979 წ. ანგოლა), გაიანის კოპერატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ლინდორ ფორბსა ბიორნემის (1985. ჯორჯთაუნი, გაიანა), კიმ ირ სენის (1995 წ. კსდრ) ცხედრები. ლენინის მაგალითისამებრ დააბალზამეს სუნ იატსენი (1925 წ. ჩინეთი) და მალ ძედუნი (1976 წ. ჩინეთი). მათგან XXI საუკუნის დასაწყისისთვის ლენინის გარ-

1924 წ. 26 მარტს მეცნიერთა ჯგუფმა ვ. ვორობიოვისა და ბ. ზბარსკის შემადგენლობით ბელადის სხეულის ბალზამირება დაიწყო, ხოლო არქიტექტორი ა. შჩუსევი წითელ მოედანზე მავზოლეუმი 2-ის აგებას შეუდგა. ეს შენობაც მავზოლეუმი 1-ის მსგავსად ხისა და დროებითი იყო.



დაბალზამეპებული ბელადის სსოპრება

მავზოლეუმი უკანასკნელად გამოიყენეს ტრიბუნად.

1995 წლიდან დაწყებული პარადები ყოველ წელს იმართება, მაგრამ 1997 წლიდან სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწენი ამ დროს დროებით ტრიბუნებზე იმყოფებიან, რომელსაც ყოველ წელს აშენებენ.

2005 წლიდან დაწყებული საზეიმო ღონისძიებების (პარადები, კონცერტები) დროს მავზოლეუმს ფარებით „კეტავენ“. იყო ლენინის მუმიზე თავდასხმის, შეურაცხყოფის შემთხვევები.

1934 წლის 19 მარტს მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პროგრესიდან“ ჩამოსულმა გლეხმა მიტროფან ნიკიტინმა ცადა დაეცხრილა ბელადის

ასე იქნებოდა ლეიტი

ტომდე დაკეტილი იყო. მიზნავემა გამოძიებისას უჩვენა, რომ 1949 წლიდან ოცნებობდა გაენადგურებინა კუბო ლენინის ცხედრით და 1960 წლის 13 ივნისს სპეციალურად ამისთვის ჩაფრინდა მოსკოვში.

1961 წლის 9 სექტემბერს ლ. სმირნოვამ სარკოფაგთან ჩაელისას მას მიაფურთხა, შემდეგ კი ესროლა ცხვირსახოცში გახვეული ქვა, თან ილანძღებოდა. სარკოფაგის მინა დატყდა, მუშია კი არ დაზიანებულა.

1962 წლის 24 აპრილს ქ. პავლოვსკის მცხოვრებმა ა. ლიუტიკოვმა ასევე ქვა ესროლა სარკოფაგს. შემდგომში გაირკვა, რომ ლიუტიკოვი ორი წლის განმავლობაში ანტისაბჭოთა წერილებს გზავნიდა ცენტრალურ გაზეთებში და დასავლეთის ქვეყნების საელჩოებში.

1967 წლის სექტემბერში კაუნასის მცხოვრებმა კრისანოვმა დენით დატენილი ქამარი ააფეთქა მავზოლეუმის შესასვლელში, ტერორისტი და რამდენიმე კაცი დაიღუპნენ.

1973 წლის 1 სექტემბერს უცნობმა კაცმა მავზოლეუმის შიგნით ააფეთქა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. დამნაშავე და დამთვლიერებელი ასტრახანელი ცოლ-ქმარი დაიღუპნენ, დაიჭრა რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, ბავშვები. ლენინის ცხედარი არ დაზავებულა, რადგან იმ დროისთვის სარკოფაგი უკვე დაზურული იყო ტყვიაგაუმტარი მინით. ტერორისტისგან მხოლოდ ერთი ხელი და თავის ნაწილი დარჩა.

2010 წლის 15 მარტს მოსკოვის გარეუბანში მცხოვრები სერგეი კრაპეცოვი გადაძვრა შემოღობილზე, ავიდა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და იქიდან ყვირილი მორთო მავზოლეუმის დანგრევისა და ლენინის ცხედრის რაც შეიძლება სწრაფად და-

რომ მიცვალებულს დაკრძალვა აღირსონ და წითელი მოედანი სასაფლაოსგან გაათავისუფლონ.

2011 წლის 20 იანვარს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა „ედინაია როსიიდან“ ვლადიმერ მედინსკიმ საქვეყნოდ განაცხადა პარლამენტის ტრიბუნიდან:

„მიზანია, რომ ჩვენ ყოველ წელს უნდა დავაყენოთ საკითხი მავზოლეუმიდან ლენინის სხეულის გამოტანის შესახებ. რაღაც უგუნური, კერპთაყვანისმცემლურ-ნეკროფილური მისია აქვს დაკისრებული წითელ მოედანს. არავითარი ლენინის სხეული იქ აღარ არის, სპეციალისტებმა იცინა, რომ მისგან დაახლოებით 10 პროცენტილა შემორჩა, დანარჩენი დიდი ხანია, მოცილებული და შეცვლილია. მაგრამ მთავარია არა სხეული, არამედ – სული. ლენინი ერთობ საკამათო პოლიტიკური პირია და ნეკროპოლში მისი ცენტრალურ ფიგურად წამოწევა დიდი შეუსაბამობაა... ცნობილია, რომ ნათესავეები – და, ძმა, მეუღლე მისი მუმიფიცირების წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ ბოლშევიკებს ფხვებზე ეკიდათ თვითონ ბელადიც და მისი ნათესაგების სურვილიც. მათ სჭირდებოდათ კულტი, რომელიც რელიგიას შექმნიდა. ეს გარყვნილება უნდა დასრულდეს“.

ამ სიტყვამ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. გამოითქვა მოსაზრება, ლენინის სანკტ-პეტერბურგში, დედის გვერდით, აგრეთვე ქ. ულიანოვსკის ახლოს დაკრძალვის მიზანშეწონილობაზე. იყო წინადადებები არა მარტო ლენინის, არამედ კრემლის კედელთან არსებული საფლავების გატანის და წითელი მოედნის მიცვალებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. ამის შესახებ დაინერა გაზეთ „ვედომოსტიში“. 2012 წლის აპრილში გამართული გამოკითხვით ირკვევა, რომ გამოკითხულ რუსეთელთა 56 პროცენტი ლენინის დამარხვას უჭერს მხარს.

მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის პრესმდივანმა ხრეკოვმა ყველას ცივი წყალი გადაასხა: ეს საკითხი არ მდგარა და არ დგას. ეს თემა არც კი განიხილულა. ეს არ არის ამჟამინდელი თაობის განსახილველი.

ალეკო ასლანიშვილი,

გაზეთების „მოსკოვსკი კომსომოლცის“, „სერეგნიე მაგერილის“, „არგუმენტი ი ფაკის“, წიგნების კ. კერამის „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერების“, ი. ზბარსკის „ობიექტი №1“-ის, ინგერნეტის მასალების მიხედვით.



და მხოლოდ სამი – სო ში მინის, მალ ძედუნისა და კიმ ირ სენის მუმიები შემორჩა. სხვათა შორის ამ ლაბორატორიას მიმართეს ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის სხეულის ბალზამირებისთვის.

ახლა იმაზეც, რომ მავზოლეუმთან არა ერთი ინციდენცია დაკავშირებული.

1990 წელს სმაურიანი სკანდალი მოხდა: საპრეველმისო დემონსტრაციის დროს ტრიბუნის წინ ანტიკომუნისტური ლოზუნგები ჩაატარეს. მიხეილ გორბაჩოვმა და მთელმა პოლიტიკურ დემონსტრაციულად დატოვეს ტრიბუნა.

1992-1994 წლებში წითელ მოედანზე პარადები და სვლები არ გამართულა.

1996 წელს, ომში გამარჯვების 51 წლისთავის პარადის დროს

დასასრული. დასაწყისი იხ. № 65-67

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ვ. ი. ლენინის სხეულის ტიუმენში ევაკუირების შესახებ, რასაც ხელს აწერს ი. სტალინი“.



შენობა ტიუმენში, სადაც ომის დროს ინახავდნენ ლენინის სხეულს.

© **ჭილაოზა**

ქართული ბრინჯაოს დღე

საბარტმელოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ფინეთის ქალაქ ვანტაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის პირველი დღე ბრინჯაოს მედლით ჩამთავრა. რევაზ მინდორაშვილის გუნდის წევრთაგან პირველები ხალიჩაზე კონსტანტინე საბალაშვილი (65 კგ) და დავით ქერაშვილი (97 კგ) გავიდნენ. ეს უკანასკნელი ევროპირველობას ერთადერთი შეხვედრით დაეშვინა, საბალაშვილი კი ხუთი შესხვედრიდან ოთხი მოიგო და მესამე ადგილი დაიკავა.

ორივე წონაში 20-20 მონაწილე შეიკრიბა და მათგან 12-12 საქმეში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთო, საქართველოს ნაკრების წევრებს კი წილისყრისას არ გაუშვართლათ და პირველი წრით დაიწყეს.

კონსტანტინე საბალაშვილმა შეჯიბრება იტალიელი ანჯელო კოსტას იოლად ძლევით გახსნა — მეტოქეს 10 ქულა ისე აუღო, თავად ერთიც არ დაუთმო, მერვედფინალში კი ანალოგიური ანგარიშით დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის ნაკრების წევრ მაგომედ ყურბანალიევთან. მას შემდეგ, რაც ყურბანალიევ-



მა მომდევნო ორი შესხვედრაც მოიგო და ფინალში ჭიდაობა გაინაღდა, საბალაშვილს ბრინჯაოს კენ გზა გაუხსნა. დამამშვიდებელი ეტაპის პირველ წრეში ქართველმა მოჭიდავემ პოლონელ არკადიუს სხუეას 11:1 აჯობა, შემდეგ გერმანელი მარტინ დაუმიც ადვილად ჩამოიშორა — 13:2, მესამე ადგილისთვის შესხვედრაში კი ბელარუს რაშიტხანაუ სურხოს დაუპირისპირდა და 11 ქულის ასაღებად 55 წამი იკმარა.

97 კილოგრამშიც რუსეთის ნაკრების წევრი ავიდა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე — დაღესტნელმა აბდუსაბამ გადისოვმა ოქროს გზა ისე გაიარა, რიგაან წინააღმდეგობას არავისგან შეხვედრია.

მერვედფინალში გადისოვისა და დავით ქერაშვილის გზები კვეთდნენ ერთმანეთს, მაგრამ საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა იქამდე მისვლა ვერ შეძლო — პირველსავე წრეში 1:2 წააგო გერმანიის ნაკრების წევრ ვილიამ პარტთან.

ვიტალი ჯაფარიძე

© **აღაშიანი დროში**

ვამბობთ დემიკოს, ვგულისხმობთ დიუსელდორფს...

სსშმსი არ ვიცი და ჩემთვის ბატონ დემიკო ლოლაძეს ისეთივე დიდების შარავანდედი მოსაგეს, როგორიც სულწაბნეო ნოდარ ახალკაცსა და ვიტალი დარასელიას.

ფეხბურთში ოდნავ გათვითცნობიერებულ ჩვენს თანამემამულეს, დამეთანხმებით, შესხენებაც კი არ უნდა დასჭირდეს, რატომაც. დიას, სწორედ მან, ერთადერთმა ქართველთაგან, ალბეჩ-და ფირზე და შემოუნახა შთამომავლობას თბილისის „დინამოს“

რის, მხატვართა კავშირის, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი; დავით აღმაშენებლის, იაკობ გოგებაშვილის, მემედ აბაშიძის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატი; მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ დააჯილდოვა ივანე ჯავახიშ-



ისტორიული გამარჯვების ამსახველი ფოტოკადრები.

იმ აქსიომის გათვალისწინებით, პიროვნების უკვდავსაყოფად მის მიერ ქმნილი ერთადერთი სიკეთეც კი საკმარისიაო — ბატონ დემიკოს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ მოყვარულის კამერით შექმნილი საუნჯეც ეყოფა საამაყოდ (აქვე მაღლობა იმ პოლონელ რეპორტიორს, რომელმაც ახალგაზრდა გოგონას სარბიელზე გასასვლელი საშვი დაუთმო), თუმცა, თუ თბილისის კოლორიტის სადარბაზო ბარათს გადახედავთ, დავრწმუნდებით, რომ მისი სახით ფართოდიაპაზონის საზოგადო მოღვაწესთან ურთიერთობის პატივი გვხვდა წილად. მაშ ასე:



დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის და იურიდიული ფაკულტეტები, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სასწავლებელი; არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავში-

ვილის მედლით, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა — გიორგი ნიკოლაძის მედლით, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ — „დედა ენის“ ავტორის მედლით; გამოცემული აქვს სპორ-

© **ფახუბრთი**

ბრაზილიამ რა ჰქმნა?!



ჩემპიონთა ლიგის ესპანურმა ნახევარფინალმა ყველას დაუმტკიცა, რომ მადრიდის „ატლეტიკოს“ წლევანდელი აღზევება პრიმერადივიზიონის სათავეში კანონზომიერი მოვლენაა და არც ამ კლუბის მიერ სეზონის ტრიუმფით დასრულება უნდა გამოვრიცხოთ.

„ბარსელონა“ — „ატლეტიკო“ 1:1 გოლები: დიეგო (56-ე წთ), ნეი-მარი (71-ე წთ).

სტუმართა ამბიციურმა არგენტინელმა თავკაცმა დიეგო სიმეონემ სახელოვან კოლევათა (ფერგიუსონი, მაურინიუ) ტაქტიკური სქემა შეარჩია და მრისხანე მეტოქეს ისეთი პრესინგი შესთავაზა, კარგა ხნის განმავლობაში კაცი ვერ მიხვდებოდა, მესი საერთოდ იყო თუ არა მინდორზე.

კატალინიელთა თავის ტკივილად ტრავმირებული მეკარე ვალდესის დუბლიორი პინტუ იქცა, მაგრამ არანაკლებ საგანგაშო ფაქტი მე-12 წუთზე მოხდა, როცა ბრაზილიელ დიეგო კოშტასთან შეჯახების შემდეგ შესაცვლელი გახდა მასპინძელთა დაცვის ბურჯი პიკე.

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მალე სათადარიგოთა სკამზე იძულებით გადაინაცვლა ბო-

ლომდე მოუშუშებული დაზიანებით მოთამაშე კოშტამაც, თუმცა, სწორედ ამ ეპიზოდმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მატჩის სიუჟეტი.

კერძოდ, სამხრეთამერიკელის ნაცვლად ბრძოლაში ჩაბმულმა მისივე თანამემამულე დიეგომ დაახლოებით 35 მეტრიდან აუღებელი დაურტყა ცერცვტა პინტუს და ანგარიშიც გაიხსნა.

თითქოს ამას ელოდნენო, „კამპ ნოუს“ ბინადრებმა, ბოლოსდაბოლოს, გაიღვიძეს და დასკვნით ნახევარ საათში ნაღდი „ბარსელონაც“ ვიხილეთ. ლოგიკურია, რომ საპასუხო ბურთი პარტნიორთა შორის ყველაზე აქტიურმა ასევე ბრაზილიელმა ნეიმარმა გაიტანა, რომელმაც ინიცტას ზღაპრული გადაცემით ისარგებლა.

„მანჩესტერი“ — „ბაიერნი“ 1:1 გოლები: ვიდიჩი; შეაინტჯიგერო. გაგრძელება 9 აპრილს იქნება.

გიორგი შოთაძე

© **ინტარნატიდან**

დამაჯილდოვანი მხარე მუშაობით

ამჟამინდელ არსებობენ ქალები, რომლებთანაც მამაკაცებს ფლირტსა და კურკურს ნაკლებად ურჩევნ. პირიქით, ასლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი გოგონებისგან თავის შორს დაჭერა სჯობს, თორემ თუ ცუდ სასიათზე იქნება, შეიძლება უიღბლო მოფლირტავეს გვარიანად მოსდოს.

ერთ-ერთი ასეთი ამორძალია ავსტრალიელი მოკრივე ლორენ იგლი, რომელიც ბუნებამ მშვენიერ გარეგნობასთან ერთად ჩინებული სპორტული მონაცემებითაც დააჯილდოვა და ეს კოსტა

ასული, რომელიც სულ რაღაც 60 კილოგრამს იწონის, არაერთი საკრივო ტურნირის ტრიუმფატორი გახლავთ.

გარდა იმისა, რომ წარმატებული და ცნობილი სპორტსმენია, ლორენ იგლი მოდელითაცაა დაინტერესებული და ავსტრალიაში გამართული „მის თინეიჯერის“ გამარჯვებულიც კი გამხდარა, ლორენის გულისსწორი კი ცნობილი ავსტრალიელი მორაგბე ტოდ კარნი ყოფილა.

როსტომ რაჭველიშვილი



ტული სამყაროსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებისადმი მიძღვნილი ორმოცდაათამდე წიგნი, მათ შორის — ეროვნული გმირის უიული შარტავას ნათელი სსოვნისადმი პატივისცემით გასიხოსნებული ორი კრებული.

შთამბეჭდავი ნუსხაა, არა?! განათლების სისტემის ღირსეულ წევრზე საუბრისას არც მის მიერ ყმანვილკაცობისას წარმატებით დასრულებული ქუჩის სკოლა

(გნებავთ — უბნის აკადემია) უნდა დავივინყოთ, როცა ქიციც ისწავლა და ქიცმაცურიც. სხვათა შორის, სწორედ მაშინ გავიცანი იგი, როგორც ჩემი უახლოესი ადამიანების ძვირფასი მეგობარი, რომელთა სსოვნასაც დღემდე სამაგალითოდ უფრთხილდები.

არასრული იქნება ბატონი დემიკოს პორტრეტი, თუ არ დავხატავთ მას, როგორც ჭეშმარიტ ქალაქელს და დაფასებული ოჯახის თავკაცს, რომელსაც საფიცარი დედა — მსცოვანი ქალბატონი თინათინ კანდელაკი ამშვენებს.

ალბათ, სწორედ ასეთ ამაგდარ მანდილოსნებს გულისხმობდა პოეტი, როცა წერდა: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“.

დღეს თავისუფალი სულის ადამიანს, ნაციონალური რეჟიმის პირუთენელ მამხილებელსა და სამართლიანობის აღდგენაზე მეოცნებე წიგნიერ მამულიშვილს დემიკო ლოლაძეს 70 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

გიან პლატონიშვილი



გამოსათხოვარი

ლევან მახვილაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ლევან მახვილაძე**.

ლევან მახვილაძე დაიბადა 1931 წელს ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში.

ქუთაისში საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამშენებლო ფაკულტეტზე, სპეციალობით ჰიდროტექნიკური მშენებლობა.

1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით. 1987 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიის დარგში.

სხვადასხვა დროს წარმატებით მუშაობდა სამრეწველო ინსტიტუტში; იყო რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორი ქალაქ რუსთავეში. მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის, საშენი მასალების წარმოების ტექნოლოგიისა და სამშენებლო კონსტრუქციის კათედრებზე.

ბატონი ლევანის სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალმხრივია. მან მშენებლობის ტექნოლოგიის დარგში არაერთი გამოგონება დაწერა, ასევე მრავალსართულიანი შენობების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ჩაატარა უნიკალური ექსპერიმენტები წინასწარდაძაბული სახლების ასაგებად ქ. ქუთაისში.

მრავალი სტატია აქვს მიძღვნილი რკინაბეტონის წინასწარ დაძაბული დიდძალიანი კონსტრუქციების დაპროექტება-დამზადებისთვის.

ბატონი ლევანი ქალაქ თბილისის აგარიული საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციის აქტიური მონაწილე და უშუალო შემსრულებელი გახლდათ.

მისი სამეცნიერო კვლევები და რეკომენდაციები ეხება საქართველოში სეისმური ბალიანობის გაზრდას, არსებული შენობების გაძლიერების საკითხებს, მიღებული აქვს პატენტები პრაქტიკული საქონლობის ჩასატარებელ გამოგონებებზე.

ბოლო დროს ბატონი ლევანი მუშაობდა მინისქვეშა დიდძალიანი ნაგებობების დაპროექტების საკითხებზე, რომელიც ქ. თბილისისა და დიდ ქალაქებს გადაუწყვეტდა სავაჭრო ცენტრებისა და მანქანების სადგომი ადგილების შექმნის პრობლემას.

იგი მონაწილეობდა მსოფლიო კონგრესებში: თბილისში, სტოკჰოლმში, ნიუ-დელიში (რომელიც ჩატარდა FIP-ის ეგიდით), აგრეთვე, მოსკოვის, ტალინის, პეტერბურგის, ნოვოროსიისკის, ალმა-ატას საერთაშორისო კონფერენციებში.

1983 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ოქროს და ვერცხლის მედლით.

მინიჭებული აქვს XX საუკუნის გამოჩენილი ინჟინრის წოდება.

2001 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და, ამავდროულად, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტისა და საბჭოს ორდენით „საინჟინრო დიდება“.

2002 წელს ბატონი ლევანს მეცნიერების და ტექნიკის დარგში მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, ხოლო 2009 წელს – ოქროს მედალი „გამოჩენილი გამოგონებელი“.

ბატონი ლევანის აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს „საინჟინრო აკადემია“, რომლის ჯერ ვიცე-პრეზიდენტი და შემდეგ საპატიო პრეზიდენტიც გახლდათ.

ბატონი ლევანი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო და რუსეთის საინჟინრო აკადემიების წევრი, აგრეთვე, საქართველოს ნაციონალური და სოციალური ურთიერთობების აკადემიის წევრი, უდმურტეთის საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, აკადემიკოსის რეადოლეგიის წევრი.

ბატონი ლევანს გამოქვეყნებული აქვს 87 ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია, 12 პატენტი და 13 გამოგონება.

ბატონი ლევანის ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს უცვლელი წევრი. კითხულობდა ლექციებს მაგისტრებთან და ბაკალავრებთან.

ღრმა ერუდიცია ბუნებრივად იყო შერწყმული მის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასთან. მისი აქტიური ბუნება მუდამ სიკეთის საკეთებლად იყო მიმართული. ინტელიგენტობას თან სდევდა სამაგალითო პრინციპულობა, იგი მეცნიერებით ცხოვრობდა. მისი აზროვნება დაკავებული იყო საკვლევი პრობლემებით. გახლდათ მუდამ შემართული, ქედუხრელი და მხნე.


ბატონი ლევან მახვილაძე შემკული იყო ქართული კაცისათვის დამახასიათებელი ჰუმანური თვისებებით, მეგობრებისა და ახლობლებისადმი თავდადებათ, თანამოქმედთა სიყვარულით. ბატონი ლევანი იყო ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი. გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, კოლექტიულობით, იყო მაღალი ზნეობის მოქალაქე, მეუღლე, მამა, ბაბუა და მეგობარი.

დიდია ბატონი ლევანის არყოფნით გამოწვეული მწუხარება.

აკადემიკოსი ლევან მახვილაძე მუდამ ემასხოვრებათ მის სტუდენტებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

საქართველოს მემკვიდრეობის ეროვნული აკადემია; საქართველოს საინჟინრო აკადემია; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.



სანთელი

მარლენ მებრეილი

ჩემო საყვარელო ძმაო მარლენ, უკვე მე-17 გაზაფხული მოვიდა უშენოდ. შენს შემდეგ გაზაფხულის მოსვლა ტანჯვად და წამებად მექცა. დღეს შენს სურათს „ვეფხისტყაოსნის“ გაზაფხულზე შენი ბავშვობა, შენი გავლილი სიკეთით საფეც ცხოვრება. შენ ხომ ჩემი იმედი, სიხარული და ჩემი ცხოვრების გაზაფხული იყავი. შენს შემდეგ ცხოვრებამ აზრი დაკარგა – გული ამტკივდა, სული აფორიაქდა. ამ დიდ მოურჩენელ ტკივილს დაემატა დედის და მამის შენთან წამოსვლა, რამაც მთლად გამანადგურა – „წამაცხა“ და თქვენი საფლავი ჩემ გულად იქცა – გული სევდიანი და ტკივილიანი.



მარლენ, გამახსენდა შენი სიტყვები: „50 წლის უკვე სიმამრი ვიქნებიო“... ვაი რომ ვერ მოესწარი 4 შვილის მამა ვერც სიმამრობას, ვერც ბაბუობას და ვერც მამამთილობას.

მარლენ, როგორ მინდა, რომ ხედავდე შენს ლამაზ და გაზრდილ ოჯახს, შენს დავაჟვაცხებულ გიორგის, შენს გახარებულ ნინიკოს, რომელმაც ბინა მიიღო, შენი შვილიშვილები ქეთი, მარიშა და ნიკუშა ძალიან საყვარელი და კარგი ბავშვები არიან. შენი დისშვილი ალიკა უკვე სამი შვილის მამაა.

ჩემო საყვარელო მარლენ, 3 აპრილს 63 წლის გახდები, გილოცავთ დაბადების დღეს, მოვალთ შენ საფლავზე, აგინთებ საწოლზე, ყველა ერთად შემოგვივლი და კარგი ბავშვები არიან. შენი დისშვილი ალიკა უკვე სამი შვილის მამაა.

ჩემო საყვარელო ძმაო, მამა და დედა – თქვენი საფლავი ჩემი გულია, ჩემი სუნთქვა და ჩემი ტკივილი, მიყვარხართ, მენატრებით ძალიან.

შენი და ნინო

გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა

ს/ს „თბილისელსაწყო“ აცხადებს, რომ 2014 წლის 25 აპრილს 11 საათზე გაიმართება აქციონერთა მორიგი საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №24ა.

დღის წესრიგი:

1. დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის ანგარიში.

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებები მიიღონ საზოგადოების დირექტორატში. ის საკითხები, რომლებიც წერილობით იქნება დაყენებული 2014 წლის 15 აპრილამდე, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განხილული იქნება კრების მიერ. კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომლებიც 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერების რეგისტრში, რომელსაც ანარმობებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „საქართველოს რეგისტრატორი“ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74 ა, VII სართ. (მოსაშვილის ქ. №11).

საზოგადოების დირექტორატი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

© ნიგნის თარო

ოთხი კრებული და მთელი საზღვაო საქმის საფუძვლები

საქართველოში ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი მშობლიურ ენაზე საზღვაო ლიტერატურის ისეთი გამოცემისა, რომელიც ბატონმა დიმიტრი მარკილაშვილმა შემოგვთავაზა არა მარტო საზღვაო საქმის პროფესიონალებს, არამედ ამ საქმით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ნიგნი „საზღვაო პრაქტიკა“ სამხედრო-საზღვაო ძალების


ოფიცრების, ზემდეგებისა და მატროსების, სატრანსპორტო და დამხმარე გემების სამეთაურო და რიგითი შემადგენლობისთვისაა განკუთვნილი. იგი დიდ დახმარებას გაუწევს, აგრეთვე, საზღვაო პროფილით მოსწავლე ახალგაზრდობას. წიგნში დანერგულია თანამედროვე საზღვაო ტექნიკური საშუალებების, კავშირისა და მაშველი საშუალებების, ხომალდზე ყოველდღიური სამსახურის ორგანიზაციის საფუძვლების შესახებ. წიგნს ასევე ახლავს ტერმინების ანბანური საძიებელი.

დამხმარე ფოტო თუ გრაფიკული თვალსაჩინოება და საგნობრივი საძიებელი. ნიგნის რედაქტორი გახლავთ კონტრადმირალი, ბატონი ალექსანდრე ჯავახიშვილი.

მეტად საინტერესოა კრებული „სამხედრო-საზღვაო საქმის საფუძვლები“. წიგნში მოცემულია ძირითადი ცნობები ხომალდის მოწყობილობის და სიცოცხლისუნარიანობისთვის ბრძოლის შესახებ. ვრცლადაა გადმოცემული ძირითადი ცნებები ხომალდის იარაღის, ტექნიკური საშუალებების, კავშირისა და მაშველი საშუალებების, ხომალდზე ყოველდღიური სამსახურის ორგანიზაციის საფუძვლების შესახებ. წიგნს ასევე ახლავს ტერმინების ანბანური საძიებელი.

„გემზე მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკა“ ბატონმა დიმიტრიმ ცნობარის სახით გამოსცა. ამ ცნობარში მოკლედ არის გადმოცემული უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი წესები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია პირადი შემადგენლობისთვის გემის ტექნიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და რემონტის დროს, როგორც ბაზაზე, ისე ხანგრძლივი ცურვის პირობებში.

მეოთხე ნიგნი წარმოადგენს



„ზღვაში გემების შეჯახების არილების საერთაშორისო წესებს“, რომელიც ინგლისურ-ქართულ ვარიანტს მოიცავს. გემების შეჯახების თავიდან აცილების სისტემა, რაც ნაოსნობის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია, მიღებულია 1972 წელს ლონდონის საერთაშორისო კონვენციად. კონვენცია კი 1977 წლის 17 ივლისს შევიდა ძალაში. კონვენციის მონაწილეა 134 სახელმწიფო მეტი. წიგნს თან ახ-

ლავს ფერადი ჩანართები, რომელშიც მოცემულია გემის შუქების დახასიათება, შუქები და ნიშნები, რომლებიც აქვთ სხვადასხვა დანიშნულების გემებს. ოთხივე სექციაშია ჩართული მალაქ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, მეტად საინტერესოდ იკითხება და გათვლილია არა მარტო სპეციალისტების, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვის.

ავთანდილ პაპაშვილი

© გაითვალისწინეთ!

ბპრმში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 6-8, 24-17, 20-29 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია გრივადობისა და ციკლონების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტიურობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

7 – მთვარე-იშპიტარის შიშვითაა პიპორჩხალაში, მთვარის პირველი მართალი, მარჯვნივ გადადის მთვარის ნიშანში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არახელსაყრელი დროა ურთიერთობათა გამორკვევითვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისა და შესყიდვებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ღვიძლის, ნალვლის ბუშტისა და საკვების გადამუშავების სისტემის მდგომარეობას. აუცილებელია, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმოვან საკვებზე, ტკბილეულობაზე, ვერძით ემოციურ გადატვირთვებს, სტრესებს, გაცივებას. ახლა წამლები და საკვები კარგად აითვისება, შეიძლება იოლად მოიმართო წონაში. ხელსაყრელი დროა საოჯახო საქმეებისთვის, მყუდროების შექმნისთვის, გასეირნებისა და დასვენებისთვის.

14 – მთვარე-მარსის შიშვითაა სასწორში, მთვარის დაბალი ბსპიტარში. შეიძლება გაჩნდეს მიდ-

ტკივილები ძვლებში, სახსრებში, რევმატიზმის, ართროზისა და ართრიტის გამწვავება, ტკივილები ქვების გამო ღვიძლში, თირკმელსა და ნალვლის ბუშტში. არ არის გამორიცხული კანისა და კბილის დაავადებანი. ერიდეთ ტრავმატიზმს, მძიმე ფიზიკურ სამუშაოს, გაცივებას. სასარგებლოა გაკაუება, კანის მოვლა, სამკურნალო გიმნასტიკა.

22 – მთვარის შპანასქელი მართალი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ნერვიულობა და გაღიზიანება, დაბნეულობა, ემოციური ტონუსის დაქვეითება. დაძაბულობის ქვეშა თვალეში, ნერვული სისტემა, ვენები. რეკომენდებულია გაუფრთხილდეთ თვალეში, ფეხებს, ვერიდეთ სტრესებს, უცნობ წამლებსა და ალკოჰოლს. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, წამოწყებული საქმეთა დამთავრებისთვის, მომავლის დაგეგმვისთვის.

24 – მთვარის შიშვითაა ნიშვითაა მთვარეში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ნალექები. ამ დღეს ადვილია გადავადრდეთ ოცნებებში და ზედმეტ ემოციურობაში. შესაძლებელია „ღრუბლებში ფრენა“. შეიძლება გამწვავდეს ფსიქიური და კანის დაავადებანი, გაჩნდეს შესიება, ტკივილები ტერფებში. აუცილებელია, გავუფრთხილდეთ ღვიძლს – დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ცხარე საჭმელსა და ალკოჰოლზე. სასარგებლოა გამწვანდი და წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟები, ერიდეთ ტრავმატიზმს, მოტყუებასა და ქურდობას, დაამთავრეთ წამოწყებული საქმეები, თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისგან.

26 – მთვარის შიშვითაა შიშვითაა მთვარეში. შესაძლებელია ყელყურის, სასუნთქი გზების, ღვიძლის, ენდოკრინული სისტემის, ფსიქიკის დაავადებანი. არ არის გამორიცხული ტკივილები ფეხებსა და ტერფებში. შეიძლება გაჩნდეს ძლიერი რეაქცია კვების უზარმაზრო პროდუქტებზე. სასურველია თავი შეიკავოთ ყავისა და სპირტიანი სასმელების მოხმარებისგან, დავიცვათ დიეტა, არ გადავალდოთ თვალეში და ფეხები. ერიდეთ თვითმოტყუებასა და არარეალისტურ გეგმებს. სასარგებლოა გამწვანდი და წყლის პროცედურები, მასაჟი, გასეირნება. ხელსაყრელი დღეა ხელოვნების, საიუველირო ნაწარმის ქვევის, ლამაზი ტანსაცმლის შეძენისთვის, თავისა და საკუთარი სახლის მორთვისთვის.

27 – მთვარის შიშვითაა შიშვითაა მთვარეში. შეიძლება შეინიშნებოდეს გაღიზიანება, მოუთმელობა, კონფლიქტურობა. შესაძლებელია, თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, ცუდი ძილი, თვალეებისა და სმენის ორგანოების დაავადებანი, სასურველია არ ამოვიღოთ ზედა კბილები. კარგია, უარი ვთქვათ ყავასა და შოკოლადზე, მოწევაზე, ცხიმოვან და ტკბილ საკვებზე. შესაძლებელია მოულოდნელი სიტუაციები, გემების ცვლილება, არაადეკვატური მოქმედება. სასარგებლოა, ვსვათ სუფთა წყალი, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, შევასრულოთ ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნებანი.

29 – სასმე მთვარე, მზის დაბალია, მთვარე-მარსის შიშვითაა მარსში. ახალი მთვარის დროს ქვეითდება იმუნიტეტი, მწვავდება ქრონიკული და ფსიქიკური დაავადებანი, ჩნდება არაადეკვატური რეაქციები, განგაში, შეშფოთება, ძნელად აღიქმება ინფორმაცია და ძნელი ხდება გადაწყვეტილების მიღება. არ არის გამორიცხული ყელყურ-ცხვირის, ბრონქების, ფილტვების, მკერდის, კბილების დაავადებანი, ნევრალგია. ნუ გადატვირთავთ სმენის ორგანს, ერიდეთ გაცივებას, ნუ დაღვეთ ცივ სასმელებს, გამოიყენეთ ხარისხიანი პროდუქტები. მზის დაბნელებამდე ერთი საათით ადრე, რაც 10.05 საათზე მოხდება, სასურველია, მივიღოთ კონტრასტული შხაპი, ჩავიცვათ თეთრი ტანსაცმელი, რეკომენდებულია, დღე გავატაროთ მშვიდ მდგომარეობაში, სტრესებისა და დიდი გადატვირთვის გავიშვათ. სასარგებლოა, უარი ვთქვათ ცხოველურ საკვებზე, მოწევისა და ალკოჰოლზე.

© ჩვენი პრესდაიჯესტი

გაქმნილია გაზუსტება



„რუსეთის სამხედრო ადმინისტრაცია შიშვითაა, პირველი პირველი ნახევარში დაიწყო“

– ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, – მერე ამის გაკეთება რთული იქნება, რადგან 1 აპრილს რუსეთის არმიაში დემობილიზაცია დაიწყო, ანუ ახალწვეულები გავიდნენ. იმ შემთხვევაში, თუკი ეს პროცესი შეჩერდება, ამან შესაძლოა, უსიამოვნება გამოიწვიოს, რაც მოსკოვში კარგად ესმით... ახლადმიღებული ჯარისკაცების მომზადებას 5-6 თვე მაინც სჭირდება... როგორც ვიცით, რუსეთის არმიას არ აქვს იმის შესახებ განაცხადი გაკეთებული, რომ საკონტრაქტო სისტემით ახალი მაინცდამაინც საჯარო სივრცეში არასდროს არ იყო. მისთვის პარტიის შექმნა ამ ვითარებაში ცოტა არარეალური მეჩვენება, თან ეს ასე არ ხდება ერთ დღეში და ორ დღეში. თუ შენ პრეზიდენტი ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, მართლაც სერიოზული პოლიტიკური ლიდერი ხარ, მით უმეტეს, ყველამ კარგად ვიცით, როგორ მოხდა მისი გაპრეზიდენტება. ეს წლების ამბავია. პარტია ერთ დღეში არ იქმნება.

„მართალი სიტყვა“

„მარგველაშვილი ოპოზიციიდან თუ გადავა, თავს დაიღუპავს“

– ბრძნობს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დედგარიაძე, – სად, რომელ ოპოზიციიდან უნდა გადავიდეს? დღეს ჩვენ ოცნებამ გაგვიფორმა ერთადერთი ოპოზიცია ნაციონალისტების სახით. ახლა დაღუპვა თუ უნდა მარგველაშვილს, მაშინ გადავიდეს ნაცებში და თუ სხვა რაღაცის გაკეთებას აპირებს, მარგველაშვილი, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლები, მაინცდამაინც საჯარო სივრცეში არასდროს არ იყო. მისთვის პარტიის შექმნა ამ ვითარებაში ცოტა არარეალური მეჩვენება, თან ეს ასე არ ხდება ერთ დღეში და ორ დღეში. თუ შენ პრეზიდენტი ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, მართლაც სერიოზული პოლიტიკური ლიდერი ხარ, მით უმეტეს, ყველამ კარგად ვიცით, როგორ მოხდა მისი გაპრეზიდენტება. ეს წლების ამბავია. პარტია ერთ დღეში არ იქმნება.

„ახალი თბობა“

პოლიტპატიმრები მანანა კობახიძის გადადგომას მოითხოვენ და მოპოვებისა აცხადებენ

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებას, რომ ხელისუფლებამ სამართლიანობა უკვე აღადგინა, როცა 200-მდე პოლიტპატიმარი ციხიდან გამოუშვა, პოლიტპატიმარმა მიხეილ ცილიკაშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე უპასუხა: „მანანა!!! შემიძრუნე ციხეში, დატოვე თანამდებობა და დავიწყოთ თავიდან, რას მოიგებ, ვნახავთ... იმიტომ გამოიშვით, რომ დასავლეთისთვის დაგენახებინათ, რამდენი პოლიტპატიმარი ჰყავდა სააკაშვილს და ისიც იმიტომ, რომ თქვენი მთავრობაში მოსვლა გაგეგმართლებინათ... არ ამოიყვანეს ყელში ამდენი დაყვედრება, კაცოოო?“

„ალია“

ჩეკლეა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

© კადრი



© ცინცხალი ანეკდოტები

– შესახადამოვით რამდენი წლისა ხარ? – ეკითხება ქალი პეტკას.
– რა ვიცი, აბა.
– გოგოები რამდენს გაძლევნ?
– ისინი საერთოდ არ მაძლევნ.

– სად მუშაობს მამაშენი?
– ბანკში.
– დიდი ხანია?
– მხოლოდ ამ საღამოს.

– ნუ მიგვიჩი, მე შენი ცოლი კი არა ვარ! – ეუბნება ოთხი წლის გოგონა მამას.

– აბა, ავადმყოფი, გააღეთ პირი უფრო ფარ-



თოდ!!! თქვით „ააააა“ აი, მუხლებზე დადგომა კი არ არის საჭირო.

– მიტხარო, რას კითხულობ, და გეტყვი, ვინც ხარ.
– საინტერესოა... რას ვკითხულობ და, პომეროსს, პლატონს, სოკრატეს...
– მეტი შენი დედაც, მისო!

– მიტხარო ბანდაში სიდორი ბინის ქურდია? – კითხულობს მოსამართლე.
– ის ქურდი კი არა, უძრავი ქონების მენეჯერია!
– პეტროვი ვინ არის, ნაქურდალის გამსაღებელი?
– გამსაღებელი კი არა, გაყიდვების მენეჯერია!
– ივანოვი კილერია?
– კილერი კი არა, კადრების მენეჯერია!
– თქვენი ბანდის მეთაური იქნებ მენეჯერია?
– არა ის ტომენეჯერია!

ავტორთა საშუალოდ რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (მთვითი პერმისიონის) ქ. 19
ტელეფონი 66434

გამომცემლობა:
შპს „თანამდებობა“-გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ. 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი
ალექს
ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
საბრტაქ ძოგაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მამუკიძე 514 33-33-24